პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 14 (14010) | ხუთშაბათი, 18 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ნოგათეგი საქართველოს

აჭარის მეციტრუსეთა წარმატება

აჭარის მეციტრუსეებმა დიდი მუშაობა გასწიეს ნარგავების მოვლა-პატრონობისათვის, მოიწიეს უხვი მოსავალი და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მანდარინისა და ფორთოხლის მიყიდვის საიუბილეო წლის ვალდებულებანი.

10 იანვრისათვის, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს 23.200 ტონა ციტრუსის ნაყოფი, რაც წლიური გეგმის 140 პროცენტს შეადგენს. აქედან დაამზადეს 21.650 ტონა მანდარინი — გეგმის 142 პროცენტი, 1.540 ტონა ფორთოხალი — გეგმის 160 პროცენტი. (საქდესი).

სტარტი აღებულია

კომუნისტური შრომის საწარმომ — თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით [illegible] მეორე წელი. იანვრის პირველ დეკადაში [illegible] მაღალარსებითი ჩაი — მილიონახევარი მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკაში დიდი სამუშაო [illegible] ამ წონ-შემფუთველი საამქროს [illegible] მოკლე ხანში ამუშავდა ასეულობანი გაწონვის ერთი ავტომატი, რომელიც 2-ჯერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. დღეში 2.500 კილოგრამის ნაცვლად გამომუშავებული იქნება 5.000 კილოგრამი ჩაი.

მოკლე ხანში ფაბრიკაში მოეწყობა აგრეთვე ელექტროკარების სარემონტო ბაზა, იანვარში დაიწყება ნედლეულის საწყობის მშენებლობა.

პარტიული ორგანიზაცია და რეფორმა

ПРАВДА

17 იანვრის მოწინავე

წელს ძირითადად მთავრდება ჩვენი ინდუსტრიის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის თანამედროვე პრინციპების დანერგვა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია „თვითეული კოლექტივის ცხოვრებაში. რეფორმა ახალ შაღალ მოთხოვნებს უყენებს მეურნეობის პარტიულ ხელმძღვანელობას.

ფართოდება საწარმოთა უფლებები და დამოუკიდებლობა, იზრდება კოლექტივების როლი წარმოების მართვაში, მის სრულყოფაში. მაშასადამე, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებსაც. მათი ყურადღების ცენტრშია რეფორმით ნაკარნახევ ეკონომიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელების საკითხები. ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ისინი მასების შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

განსვლილი წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს იმ კოლექტივებმა, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს მუშაობის გარდაქმნა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა პ. ზიბერტასის სახელობის ბრეშუშის კომბინატის პარტიული კომიტეტის გამოცდილება. რა არის ამ გამოცდილებაში უურადსაღები? უწინარეს ყოვლისა ზრუნვა იმისათვის, რომ რეფორმის მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობდეს მთელი კოლექტივი. პარტიული კომიტეტი, საამქრო ორგანიზაციები შეიცადნენ არა მარტო ღრმად განემარტათ მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის არსი, არამედ დაეხმარნენ კიდევაც თვითეულ მუშაკს განესაზღვრა თავისი წვლილი საერთო საქმეში. ფეიქართა ფართო მონაწილეობით საფუძვლიანად შეისწავლეს ვითარება წარმოების ყველა უბანზე, გამოავლინეს დიდი რეზერვები.

სამწუხაროდ, ახალ სისტემაზე გადასვლას ჯერჯერობით არ გამოუწვევია სერიოზული, ცვლილებანი მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ზოგან ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ ახალ მოთხოვნათა არსი. ახლა საქმე ის როდია, რომ რაღაც რამდენადმე გავაუმჯობესოთ, რაღაც ოდნავ შევასწოროთ. ამოცანა სულ სხვაგვარად ისმება: საჭიროა ძირეულად შეიცვალოს თვით მიდგომა სამეურნეო პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისადმი. გადაისინჯოს ორგანიზატორული საქმიანობის ბევრი ფორმა და მეთოდი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოსადეგია ისინი თანამედროვე პირობებში.

ამჟამად კადრებისადმი წაყენებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ისწავლონ ეკონომიური ანალიზის გამოყენება, იმოქმედონ არა ალალბედზე, არამედ მთელი ცოდნით შეიარაღებულმა. მაშასადამე, პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გაუდვიძონ წარმოების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს ეკონომიური მუშაობის ინტერესი, განუვითარონ სამეურნეო ინიციატივა, წარმოების ეკონომიკის ღრმა ანალიზის, საქმის მეცნიერულ საფუძველზე წარმართვის უნარი. ეს შეეხება, ვთქვათ. არა მარტო წარმოების დირექტორს ან მთავარ ინჟინერს, არამედ ყოველ მუშაკსაც. ახლა, როცა სამეურნეო ანგარიში უნდა ინერგებოდეს წარმოების ყველა რგოლში, სამუშაო ადგილზეც კი, განსაკუთრებით ძლიერდება ოსტატის, ცვლის უფროსის, სამუშაოს მწარმოებლის, ბრიგადირის როლი. და პარტიული კომიტეტი, საამქრო ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა უთმობდნენ ყურადღებას მათ. მაგალითად, სწორად იქცევა ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის პარტკომი, რომელიც მზრუნველობით ამზადებს კადრების რეზერვს, ოსტატებად, საამქროთა და ცვლების უფროსებად მუშაობისათვის რეკომენდაციას აძლევს უნარიან სპეციალისტებს, რომლებმაც ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინეს, პრაქტიკოსებს კი, რომლებსაც ეს თანადგომანი ეკავათ, სასწავლად გზავნის.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი ინიციატივის განვითარებისათვის ზრუნვასთან ერთად საჭიროა გავადიდოთ მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ზოგან ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა კუთხურობის ფაქტები, არ იცავენ სპეციალიზაციასთან, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან პრინციპულად შეაფასონ ასეთი მოვლენები, მუდამ იდგნენ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე. თვითეულ კოლექტივში უნდა შეიქმნას არაორგანიზებულობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, დისციპლინის დარღვევისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება, უნდა უზრუნველყოთ პირობები კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის.

რეფორმის დროს წარმოიშობა ისეთი საკითხები, რომლებიც წინათ ასე მწვავედ არ მდგარა. კერძოდ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს საქმეებში კოლექტივების როლის ამაღლების, მუშაკთა აქტივობის განვითარების საკითხს. არსებითად იცვლება მიდგომა პარტიული კონტროლის ორგანიზაციისადმი.

რატომ არის, რომ ზოგჯერ ესოდენ სუსტია ორგანიზატორული მუშაობის ქმედითობა? ზოგიერთი კომიტეტი ნაკლებად ეურდნობა საამქრო ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებს, ნაკლებად ზრუნავს მათი აქტივობის განვითარებისათვის. მთელ რიგ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აღინიშნა, რომ ჩვენი პარტიის ამ ძირეული რგოლების ინიციატივას ზოგჯერ ვერ ამჩნევენ, მათს აზრს არ ითვალისწინებენ.

ხშირად პარტიული კომიტეტი თუ ბიურო გადაწყვეტილების მიღებისას ივიწყებს მთავარს — შესრულების შემოწმებას, უნარი არ შესწევს დასახულს განხორციელებაში ჩაიბას მთელი კოლექტივი, თვითეული მუშაკი. სწორედ ამისათვის გააკრიტიკეს, მაგალითად, თავიანთი პარტიული კომიტეტი კურსკის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების ქარხნის პარტიული კონფერენციის დელეგატებმა. კომიტეტმა განიხილა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და წარმოების კულტურის გაუმჯობესების გზები. შედეგები კი როგორია? საამქროებში კვლავ იერშობანაა, არღვევენ საწარმოო დისციპლინას. საგრძნობი სარგებლობა არ მოუტანია არც პროდუქციის ხარისხის საკითხის განხილვას.

პარტიული ორგანიზაცია ვერ დასჯერდება მარტოოდენ ხარვეზებისა და შეცდომების რეგისტრაციას. მისი პირდაპირი მოვალეობაა საქმით უზრუნველყოს საწარმოო ფონდების ეკონომიურად გამოყენება, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისება, სამეურნეო ანგარიშისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, შეჯიბრების განვითარება, კოლექტივის დისციპლინის განმტკიცება.

ადგილობრივი პარტიული ორგანოების წინაშე დგას ამოცანა — საფუძვლიანად შეისწავლონ და განაზოგადონ იმ საწარმოთა პიველადი ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების გამოცდილება, რომლებიც ახლებურად მუშაობაზე გადავიდნენ. ასეთი ანალიზის ფორმები მრავალფეროვანია: ეს არის ანგარიშიც პარტიულ კომიტეტში, საკითხის განხილვაც პლენუმზე, პარტიული პრაქტიკის დაწერილებით გაცნობა უშუალოდ მოწინავე ქარხნებსა და ფაბრიკებში. საჭიროა, რომ შეძენილი გამოცდილება უფრო სწრაფად ხდებოდეს ყველა პირველადი ორგანიზაციის კუთვნილება, ეხმარებოდეს მათ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფაში, მუშაობის ახალი მეთოდების დაუფლებაში. ამას ხელი უნდა შეუწყონ ახლანდელმა რაიონულმა და საქალაქო პარტიულმა კონფერენციებმაც.

მოსკოვში დაბრუნდნენ

16 იანვარს საღამოს მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ვ. პოდგორნი** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი**, რომლებიც არაოფიციალურ ვიზიტად იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოსი-199"

საკდესის ცნობა

1968 წლის 16 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-199". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა გასაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საგდესმ გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი 90,2 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 386 კილომეტრი, მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) 204 კილომეტრი, ორბიტის დახრილობა 65,7 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსასტვენა ორბიტის ელექტრონების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამთვლელითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის დიდი ზეიმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის მომზადება მთავრობის საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პირველი სხდომა მთავრობის საიუბილეო კომიტეტისა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ 1968 წლის ოქტომბერში აღინიშნება თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავი. მთავრობის საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, რომ სწრაფად ვითარდება ყველა საბჭოთა ხალხის სულიერი ძალები და შემოქმედებითი პოტენციალი, რომ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ქართველმა ხალხმა, რომელსაც ამ დარგში უმდიდრესი ტრადიციები აქვს.

ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება უდიდესი ყურადღებისა, რომლითაც ჩვენი პარტია და მთავრობა ეკიდებიან მომძლავრებულ-ინტელიგენტურ-კულტურული ცხოვრების გამდიდრებასა და ყოველმხრივ გაფართოებას, თქვა ამხ. მჟავანაძემ, ის დიდი გაქანებაა, რომლითაც ჩვენს რესპუბლიკაში აღინიშნება უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ თბილისის უნივერსიტეტის ადგილი და როლი საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. თბილისის უნივერსიტეტმა თვალსაჩინო როლი შეასრულა კულტურისა და სახალხო მეურნეობის მრავალ იმ მიღწევათა მოპოვებაში, რომლებითაც კანონიერად ამაყობს საბჭოთა საქართველო. თავისი არსებობის 50 წლისთავის მანძილზე უნივერსიტეტმა მოამზადა სხვადასხვა დარგის 40 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, პირველი ხუთწლედების დავალებათა ვადამდე შესრულებაში. დიდი სამამულო ომის დროს ისინი გმირულად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ომისშემდგომ წლებში კი თავდადებით იბრძოლნენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

თბილისის უნივერსიტეტმა აღზარდა მეცნიერ მუშაკთა მრავალათასიანი შესანიშნავი რაზმი, რომელიც წარმატებით ეწევა შემოქმედებითს საქმიანობას საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მათ შორის მეცნიერების 200-ზე მეტი დოქტორი და 1.000 კანდიდატი, საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების რამდენიმე ათეული წევრია.

თბილისის უნივერსიტეტში, თქვა შემდეგ ამხ. მჟავანაძემ, შეიქმნა ბევრი სამეცნიერო სკოლა და მიმართულება. ფართო საერთაშორისო აღიარება დაიმსახურეს ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის მეთაურობით, აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა სკოლამ, ქართველ ფსიქოლოგთა, ისტორიკოსთა, ლინგვისტთა, გეოლოგთა, ფიზიკოსთა, ასტრონომთა, ქიმიკოსთა და სხვა მეცნიერთა გამოკვლევებმა.

თბილისის უნივერსიტეტის მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი ბევრი პროფესორი საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობების, სიმპოზიუმების მონაწილეა, მათ ლექციების წასაკითხავად იწვევენ საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ შექმნილი ათობით სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია და სახელმძღვანელო ითარგმნება უცხო ენებზე. თბილისის უნივერსიტეტს მეტად მჭიდრო კონტაქტები აქვს მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთელ რიგ უნივერსიტეტებთან — მოსკოვის, კიევის, ერევნის, ბაქოს, აგრეთვე იენის, ვარშავის, ჰელსინკისა და სხვა უნივერსიტეტებთან.

თბილისის უნივერსიტეტმა უდიდესი მუშაობა გასწია ქართველი ხალხის საუკეთესო კულტურული ტრადიციების აღორძინებისათვის, მისი მდიდარი სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და ათვისებისათვის. მაგრამ, ხაზი გაუსვა ამხ. მჟავანაძემ, ყოველივე, რაც მოპოვებულია უნივერსიტეტის კათედრების, ლაბორატორიების, მეცნიერების მეცნიერული საქმიანობის შედეგად, — ზღვარი როდია. წინ გველის დიდი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. წლითიწლობით მაღლდება უნივერსიტეტის როლი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. საბჭოთა საზოგადოების განვითარების, განაგრძო ამხ. მჟავანაძემ, მეცნიერების, ტექნიკის, უმაღლესი განათლების განვითარების კვალობაზე საუნივერსიტეტო განათლება სულ უფრო გაფართოვდება, უნივერსიტეტების მნიშვნელობა კი სულ უფრო გაიზრდება. ამიტომ არის, თქვა დასასრულ ამხ. მჟავანაძემ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, გაფართოებას, გამდიდრებასა და გაღრმავებას. ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყოველ ღონეს ხმარობენ და კვლავაც იხმარენ იმისათვის, რომ ჩვენს უნივერსიტეტს შეუქმნან ნაყოფიერი მუშაობის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი ყოველნაირად გაფართოებისა და განმტკიცების მაქსიმალური პირობები. ამიტომ არის, რომ ჩვენი აზრით, თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის მზადება უნდა მიმდინარეობდეს ფართოდ, მოფიქრებულად, როგორც მზადება ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის, მისი მეცნიერებისა და კულტურის დღესასწაულისათვის.

სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. ნ. ვეკუამ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით მთავრობის საიუბილეო კომიტეტის შექმნა თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღსანიშნავად, — თქვა ამხ. ვეკუამ, — ჩვენს კოლექტივს მიაჩნია ქართული მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და ყურადღების ახალ მკაფიო გამოვლინებად. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა კრებები ფართოდ იხილავენ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებასა და საქმიანობაში. გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის იუბილეს დღესასწაულის შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი ქართველი ხალხი. ეს მოწმობს იმ დიდი წვლილის ღირსეულ შეფასებას, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა შეიტანა ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნდა ზრუნავდეს ფუნდამენტური მეცნიერების დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. უნივერსიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ამ მხრივ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. იგი გვისახავს ახალ დიდ ამოცანებს, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ მთელი რესპუბლიკისათვის.

უნივერსიტეტის იუბილე, რომელსაც პარტიისა და მთავრობის ინიციატივით ზეიმურად აღნიშნავს მთელი ქართველი ხალხი, უეჭველია დიდი სტიმული იქნება ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

შემდეგ ამხ. ვეკუამ თქვა, რომ უნივერსიტეტის საიუბილეო კომისიამ ფართო მზადება გააჩაღა მომავალი ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. დასახულია მოეწყოს სამეცნიერო სესიები, მათ შორის გამსვლელი სესიები, თემატური საღამოები, გამოფენები, გამოვიდეს სხვადასხვა გამოცემა. მზადდება დიდი წიგნი „უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის", რომელიც გაგვაცნობს უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას, სტუდენტთა სწავლებაში მიღწეულ წარმატებებს, სპეციალისტთა მომზადებას, ქართული მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებას. წიგნი გვიამბობს იმათზე, ვინც მკერდით იცავდა სამშობლოს, — უნივერსიტეტის პროფესორებსა და მასწავლებლებზე, რომლებიც დიდ სამამულო ომში მონაწილეობდნენ. მთელი რიგი ბროშურები, რომლებიც რუსულ და უცხო ენებზე გამოდის, გააშუქებენ უნივერსიტეტის — ჩვენი ქვეყნის კადრების აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ჩვენ ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტი, სადაც მეგობრულად, ერთ ოჯახად შეკავშირებული სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები, გადაიქცა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის ნამდვილ სკოლად, რომელიც არჩეული სპეციალობის მიხედვით ცოდნასთან ერთად უნერგავს მას სამშობლოს, პარტიის სიყვარულს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულებას, მზადყოფნას ძალღონისა და ენერგიის დაუზოგავად იშრომოს კომუნისტური მშენებლობის დიდებული ამოცანების განსახორციელებლად.

ვემზადებით რა უნივერსიტეტის სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილესათვის, თქვა დასასრულ ამხ. ვეკუამ, — ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის მოწყობის ღონისძიებანი.

გადაწყვეტილია ამ თარიღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართოს 1968 წლის 21-28 ოქტომბერს. ცენტრალური მოვლენა იქნება უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართული საზეიმო სხდომა. გაიმართება საიუბილეო სესია უნივერსიტეტში და გამსვლელი სამეცნიერო სესიები, საღამოები, მშრომელთა შეხვედრები უნივერსიტეტის მეცნიერებსა და სტუდენტებთან, კულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებანი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. საქართველოს უძველეს სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებში — იყალთოში, ვარძიასა და გელათში მოეწყობა სახალხო ზეიმები.

დღესასწაულობებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოვა საიუბილეო გამოცემები, სუვენირები, შეიქმნება კინოფილმები და კინონარკვევები, რომლებიც მიეძღვნება უნივერსიტეტის ცხოვრებას. სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს.

საიუბილეო კომიტეტმა დასახა თბილისის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მთელი რიგი ღონისძიებანი. გადაწყვეტილია, კერძოდ, განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა დაჩქარდეს მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტების კორპუსის, აგრეთვე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის მშენებლობა. კაპიტალურად გარემონტდება უნივერსიტეტის ძირითადი შენობები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მთავრობის საიუბილეო კომიტეტის წევრები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა (საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე (საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ნ. ჯიბლაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ვ. გოგოხია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნ. ნ. კეცხოველი და ვ. დ. კუპრაძე.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები შ. ი. ნუცუბიძე და ა. ბ. შანიძე — თბილისის უნივერსიტეტის დაარსების აქტიური მონაწილენი და პირველი პროფესორები.

მთავრობის საიუბილეო კომიტეტთან შეიქმნა კომისიები: საიუბილეო გამოცემების საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ბ. ს. ძოწენიძე), საიუბილეო ზეიმის მომწყობი კომისია (თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე), საორგანიზაციო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე დ. ბ. სტურუა), მეცნიერულ-სასწავლო მუშაობის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ი. ნ. ვეკუა), გამოფენების მომწყობი კომისია (თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე). (საქდესი).



ეცნობიან საქართველოს

ბულგარეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერების, და ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ი. პოპოვი, განაგრძობს რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობას.

17 იანვარს დილით დელეგაციის წევრები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის გ. შ. მიქელაძის თანხლებით ეწვივნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ამზადებს საინჟინრო პროფილის 77 სპეციალობის კადრებს. არსებობის 45 წლის მანძილზე ინსტიტუტმა გამოუშვა 36 ათასზე მეტი ინჟინერი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. მ. ბუაჩიძემ სტუმრებს უამბო, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო, აღმზრდელობითი და მეცნიერული მუშაობა ინსტიტუტში. სტუმრები იყვნენ აუდიტორიებში, გაეცნენ სამრეწველო ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის და სხვა კათედრების საქმიანობას, დაათვალიერეს ბიბლიოთეკა, რომელშიც 1200 ათასი ტომია.

— საინჟინრო კადრების მომზადების თვალსაზრისით ჩვენი გამოცდილება ძალიან საგულისხმოა, — თქვა ი. პოპოვმა ინსტიტუტის პროფესორებთან და მასწავლებლებთან საუბარში.

შემდეგ ბულგარეთის დელეგაცია შეხვდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს. ეს საქართველოს ერთ-ერთი ახალგაზრდა სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც ნაყოფიერად იკვლევს თანამედროვე კიბერნეტიკის ძირითად მიმართულებებს. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მთელმა რიგმა ნაშრომებმა აღიარება ბოვეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი დაინტერესდნენ მეცნიერების ხანგრძლივი პროგნოზირებისა და დაგეგმვის საკითხებით. სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ვ. ჭავჭანიძე.

დელეგაციის მეთაურმა ი. პოპოვმა აღნიშნა, რომ საქართველოში ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი შესაძლებლობანია ნაყოფიერი მეცნიერული და ტექნიკური პროგრესისათვის.

საღამოს საქართველოს სსრ მთავრობამ ბულგარელ მეგობართა პატივსაცემად დარბაზობა გამართა. (საქდესი).

გასული წლის შედეგები და პერსპექტივები

△ თავიანთ აწმყოსა და მომავალზე მსჯელობენ სანიორელი კოლმეურნეები. △ ჰექტარზე ნაცვლად 70 ცენტნერისა მიღებულია 78 ცენტნერი ყურძენი. △ მევენახეობიდან მიღებულია 487.000 მანეთი. △ **კოლმეურნეობას არა ჰყავს არც დებიტორი, არც კრედიტორი. საკუთარი სახსრებით, სახელმწიფოსაგან სესხის მიუღებლად აწარმოებს ანგარიშსწორებას.** △ კოლმეურნეებმა კაცდღეზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 მანეთისა და 67 კაპიკისა მიიღეს 8 მანეთი და 36 კაპიკი. △ **ხუთწლედის დავალებანი შესრულდება ოთხ წელიწადში!**

სანიორის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე

სანიორელ თელავის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელია. მშვენიერი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სოფლის სრული ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია, ცისფერი ეკრანები, ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, საკოლმეურნეო კლუბი, აბანო, საექიმო პუნქტი, სბავშვო ბაგა-ბაღი, საშუალო სკოლა და, საერთოდ, ვინ მოთვლის ყველა იმ სიკეთეს, რაც სოფელმა საკოლმეურნეო ცხოვრების 40 წლის განმავლობაში მიიღო. შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო შემოსავალმა თვიურად აქ 135 მანეთს გადააჭარბა. მთლიანად ლიკვიდირებულია მცირემცოდნეობა, ხოლო 260 საკოლმეურნეო კომლის 200 წარმომადგენელს უმაღლესი განათლება აქვს.

მეურნეობის გონივრული გაძღოლით ამ სოფლის მკვიდრმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე მარგალიტაშვილმა, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შოთა აივაზაშვილმა და მათ გარშემო დარაზმულმა სოფლის აქტივმა პირნათლად გაანაღდეს ხალხის ნდობა. საიუბილეო წლის ვალდებულებათა წარმატებით განაღდების შემდეგ კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი პირველი შეუდგა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების პატრიოტულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სწორედ ამ ნიშნით ჩაიარა 12 იანვარს კოლმეურნეობის საანგარიშო კრებამ, სადაც ასე ნათლად აისახა საკოლმეურნეო ცხოვრების ბედნიერი აწმყო და უფრო ნათელი მომავალი. აი რა თქვეს კრებაზე მომხსენებელმა — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და კამათის მონაწილეებმა.

ა. მარგალიტაშვილი,

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

გასული წლის ბუნებრივი პირობები როგორც მთელ რიგ რაიონში, ისე ჩვენთანაც არასახარბიელო იყო, მაგრამ ჩვენი კოლმეურნეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ აგროწესების ზუსტად დაცვით თითქმის შეუძლებელს მიაღწიეს და ბუნებისაგან მიიღეს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც შეეძლო. თავიდანვე მინდა აღვნიშნო ჩვენი საანგარიშო დარგის მუშაკთა (მთ. ბუღალტერი ნ. თათულაშვილი) კარგი მუშაობა, რამაც საშუალება მოგვცა დროულად შეგვეჯამებინა სამეურნეო წლის შედეგები.

კოლმეურნეობაში ძირითადია მევენახეობა. ამ დარგიდან შემოსავალი საერთო შემოსავლის 75-80 პროცენტს აღწევს. მევენახეობიდან მიღებულია 487.000 მანეთი შემოსავალი. ეს მაშინ, როცა მთლიანი შემოსავალი 607.000 მანეთი იყო. გარდა ამისა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ასეთ მაჩვენებლებს ვაღწევთ ვენახის არც თუ ისე დიდ ფართობზე. 250 ჰექტარი ვენახიდან მსხმოიარეა 142 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა მივიღეთ 78,4 ცენტნერი. სახელმწიფოს ნაცვლად 800 ტონისა მივაყოლეთ 1.113 ტონა ყურძენი. ეს, რა თქმა უნდა, ურიგო როდია, მაგრამ არც ზღვარია, მომავალში უფრო მეტს უნდა მივაღწიოთ. ჩვენ ამის შესაძლებლობა გვაქვს. ჯერ ერთი, წელს მსხმოიარობაში დამატებით შევა ათობით ჰექტარი ვენახი. მეორეც გამეჩხერებული ვენახები გასულ წელს შევავსეთ. წელსაც ამ საქმეს სათანადო ყურადღებას მივაქცევთ და, ვფიქრობთ, სანიმუშო მოვლა-პატრონობით, აგროწესების ზუსტად გამოყენებით უფრო მეტ მოსავალს მივიღებთ.

როდესაც მთელი წლის ანგარიშზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, თუ ვინ როგორ იშრომა, ვინ იმარჯვა და ვინ არა. მევენახეობის ის ბრიგადების მევენახეებმა, რომლებსაც ა. აივაზაშვილი, ა. მარგალიტაშვილი, ს. გოგინაშვილი, ვ. გოგინაშვილი ხელმძღვანელობენ, გასულ საიუბილეო წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებები მოიპოვეს, საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე 10-12 ცენტნერით გადაამეტეს.

ყურძნის კარგი მოსავლის მოყვანის ამ ოსტატების წარმატებები თავი და თავია შრომა. ამ ბრიგადების მეზვრეები დარსა თუ ავდარში თავდაუზოგავად შრომობდნენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელებისათვის, კომპლექსური მექანიზაციისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის.

როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ნაკლიც არ აღვნიშნოთ. მართალია, გასულ წელს დიდი შრომა დავხარჯეთ მეჩხერი ვენახების შესასვლელად, მაგრამ ახალშენ ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მხედველობიდან გამოგვრჩა. ვიფიქრეთ, მერე შევავსებთ მეჩხერ ადგილებსო, მაგრამ ის კი დაგვავიწყდა, რომ მეჩხერი ადგილების დროზე შევსება უფრო სარგებლიანია. ახალი ვენახები საკუთარი წარმოების ნერგით გავაშენეთ, მეჩხერი ადგილების შესავსებადაც ჩვენივე ნერგი გამოვიყენეთ. გაშენდა 10 ჰექტარი ახალი ვენახი, შპალერზე გადავიყვანეთ 43 ჰექტარი, მეჩხერ ვენახებში გამოვრგეთ 12 ათასი ძირი ვაზი. დიდი მონდომება და შრომა დასჭირდებათ ჩვენს მევენახეებს, რომ წინა წლის შეცდომები აღარ გიმეორონ. ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სპეციალისტებმა და ბრიგადიერებმა.

მართალია, ჩვენთან ძირითადი დარგია მევენახეობა, მაგრამ არც მემინდვრეობაა ჩამორჩენილი. გასულ წელს საშემოდგომო ხორბალი 120 ჰექტარზე გვთესია. გეგმით 1.800 ცენტნერი ხორბალი უნდა მიგვეღო, მივიღეთ 2.450 ცენტნერი. საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად 15 ცენტნერისა ვაწარმოეთ 20,4 ცენტნერი ხორბალი. გასულმა წელმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენთან ხორბლის მოსავლის გადიდება შესაძლებელი ყოფილა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ წინა წლებში დაბალ მოსავალს ვიღებდით და გვჯეროდა, რომ მეტის მიღება არ შეიძლებოდა. გასულმა წელმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მინდორს მეტის მოცემა შეესძლებია, თუ კი აგროწესების სრულ კომპლექსს არ დავარღვევთ.

ეთერზეთოვანი კულტურები კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. გასულ წელს ამ დარგიდან დიდძალი შემოსავალი მივიღეთ. ნაცვლად 244 ტონისა სახელმწიფოს მივყიდეთ 258 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. გეგრანის მოსავლიანობამ ჰექტარზე 300 ცენტნერი შეადგინა. ეს ჩვენთან სარეკორდო ციფრია. მაგრამ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ რეჰანის წარმოებაში ჩამოვრჩით. ნაცვლად 80 ცენტნერისა 41 ცენტნერი ვაწარმოეთ. რატომ ჩამოვრჩით ამ საქმეში? ჩემი აზრით, და სპეციალისტებიც დამეთანხმებიან, ჩამორჩენის მიზეზი რეჰანის გასაშენებელი ნაკვეთის შერჩევა იყო. ცუდი ნაკვეთი შევარჩიეთ და კიდეც დავისაჯეთ.

კოლმეურნეობა ჩვენი სოფლის დიდი ოჯახია, ჩვენ კი ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრები ვართ, ხოლო საანგარიშო კრება ჩვენი ოჯახის სამსჯავროა. აქ უნდა ვთქვათ, რასაც მივაღწიეთ, როგორ მივაღწიეთ და რა დაგვრჩა გასაკეთებელი. ერთმანეთს პირში უნდა ვუთხრათ ყოველივე, რაც საერთო საქმის საკეთილდღეოდ არის ნავარაუდევი.

ამჯერად მეცხოველეობაზე უნდა შევჩერდე. მეცხოველეობა საჭირო დარგია, მაგრამ დაუფარავად უნდა ვთქვა, ეს დარგი ზარალიანია. მართალია, გასულ წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ფერმები მაინც ზარალიანია. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმამ გასულ წელს 41.504 მანეთი შემოსავალი მოგვცა. დანახარჯები კი 83.248 მანეთია. ზარალი მარტო ამ ფერმიდან 38.479 მანეთს უდრის.

კოლმეურნეობას გასულ საანგარიშო წელს უნდა ეწარმოებინა 619.324 მანეთის პროდუქცია, ვაწარმოეთ 661.452 მანეთის პროდუქცია. შრომის ანაღაურებაზე უნდა დახარჯულიყო 203 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 139.759 მანეთი. წლის განმავლობაში დროულად ხდებოდა ანგარიშსწორება კოლმეურნეებთან და დამამზადებელ ორგანოებთან. ჩვენ წლის ბოლოსათვის არა გვყავს არც დებიტორი და არც კრედიტორი.

საანგარიშო პერიოდში საწარმოო-საფინანსო გეგმის ყველა მუხლის დაცვით ხდებოდა აუცილებელი საწარმოო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევა. სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობას არავითარი ფინანსური სიძნელეები არ განუცდია და ყველა ხარჯებს ეწეოდა საკუთარი სახსრებით, სახელმწიფოსაგან სესხის მიუღებლად.

სასახარულო შედეგები გვაქვს შრომის ანაზღაურების საქმეში. წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულდა, ძირითადი პროდუქტების თვითღირებულებაც საგრძნობლად შემცირდა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა გაგვეზარდა შრომის ნაყოფიერება, კაცდღის ღირებულება. კოლმეურნეობა 1960 წლიდან შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზეა გადასული. უკანასკნელ ორ წელიწადში შრომის ანაზღაურება თითქმის ერთიორად გაიზარდა. საიუბილეო წელს გეგმით კოლმეურნეს კაცდღეზე 2 მანეთი და 67 კაპიკი უნდა მიეღო. უკვე მიღებული აქვთ 4 მანეთი. წლიური ანგარიშსწორების შედეგად დადგინდა, რომ კაცდღეზე მიიღებენ 8 მანეთსა და 36 კაპიკს. კოლმეურნეს შეუძლია მიიღოს კაცდღეზე 7 მანეთი და 39 კაპიკი. ფულად და 5,5 კილოგრამი ვერწყავი ვენახებს,- მაგრამ ზაფხულობით რწყვაში ხელი გვეშლება იმის გამო, რომ სოფელ ფშაველის ბოლოზე წყლის გადმოტარებას რატომღაც ვერ ვახერხებთ. ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელობა დაგვეხმარება ამ საქმის მოგვარებაში. მაშინ ვენახების რწყვას უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცემა და ყურძნის მოსავლიანობაც იმატებს.

შ. გოგაძე,

ტრაქტორისტი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მექანიზაციას ენიჭება. ვენახების მთელ ფართობზე ხვნა და სხვა სამუშაოები მანქანებით წარმოებს. პირადად მე „ტ-50“ მარკის ტრაქტორზე ვმუშაობ. გასულ წელს გადაჭარბებით შევასრულე რიგთაშორის ხვნის დავალება. ტრაქტორის დატვირთვამ, რბილ ხვნაზე გადაყვანით, წელიწადში 580 ჰექტარი შეადგინა. ხარისხიანად შესრულებულმა სამუშაომ ხელი შეუწყო მევენახეებს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში.

თვეში 160 მანეთზე მეტს ვიღებ. სულ გასულ წელს 1.980 მანეთი გამოვიმუშავე. ამას თუ პრემიას მივუმატებთ, სულ 2.100 მანეთი მივიღე. საკარმიდამოდან შემოსავალიც საკმაო მაქვს. ჩემი ოჯახი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. აი რა მომცა საკოლმეურნეო შრომამ.

ბ. ბზირიშვილი,

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი.

ქართველი კაცის ცხოვრება წარმოუდგენელია, თუ პირუტყვი არა ჰყავს. სწორედ ამიტომ ჩვენებურები მაღალშემოსავლიან ვაზის კულტურასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კოლმეურნეობის „ფულადი შემოსავლის 80-85 პროცენტს ჩვენში ვენახი იძლევა. ითქვა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეცხოველეობა ზარალიანია, ძვირია მეცხოველეობის მთელი რიგი პროდუქტები, ხოლო მეღორეობის ფერმაში ნამატის მიღების გეგმა არ შესრულებულა. რა არის ამის მიზეზი?

მომხსენებელმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ჩვენი მეცხოველეების მიერ გაწეულ საქმიანობას, აღინიშნა ნაკლოვანებები, მაგრამ კოლმეურნეობის საერთო კრებას თუ მთლიანად არ წარმოუდგენთ მეურნეობის ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა სურათს, გაძნელდება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე ჩვენში ჯეროვან სიმაღლეზე ვერ ავიყვანეთ. ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის კეკებას, ისევე როგორც ჯიშიანისას, საძოკრების უქონლობის გამო ბაგრად ვაწარმოებთ. ჯიშიანი პირუტყვი ამართლებს დანახარჯებს, ადგილობრივი კი ვერა. ამ საკითხით გამგეობა უნდა დაინტერესდეს.

სავარგულების სიმცირის გამო საკვები ძირხვენებისა და მრავალწლიანი ბალახების საჭირო ოდენობით თესვას ვერასგზით ვერ ვაწარმოებთ. ამის გამო ხელოვნური კვების ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ღორის ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების თვითღირებულების შემცირების საქმეს.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის ბუღალტერი ნ. თათულაშვილი, კოლწევრი ა. ჯიქურაშვილი და სხვები.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. ვარდოშვილმა.**

კრებამ მიიღო საქმიანი ღონისძიება და დასახა მომავლის გეგმები.

კრების ღონისძიებებიდან

სანიორის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ 1967 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დამტკიცდეს სარევიზიო კომისიის აქტი.

1968 წელს მუშაობის უკეთ წარმართვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით კოლმეურნეობის გამგეობას დაევალოს:

განუხრელად დაიცვას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. კვლავაც განამტკიცოს საკოლმეურნეო დემოკრატია და მართვის კოლექტიური პრინციპები;

იბრძოლოს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მევენახეობასა და ეთერზეთოვან კულტურებს. საქმე ისე დააყენოს, რომ მიმდინარე წელს ნაცვლად 980 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდოს 1.200 ტონა ყურძენი, 244 ტონა ეთერზეთოვანი კულტურები. იბრძოლოს ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ;

მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების წარმოებაში დანერგვით საქმე ისე დააყენოს, რომ მეცხოველეობაც რენტაბელური დარგი გახდეს;

მიიღონ საჭირო ღონისძიებები, რომ პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმები შესრულდეს 7 ნოემბრამდე;

უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს სოფლის კეთილმოწყობის საქმეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: თელავის რაიონის სანიორის კოლმეურნეობის წევრები საანგარიშო კრებაზე შესვენების დროს ესაუბრებიან თავიანთ თავმჯდომარეს ა. მარგალიტაშვილს (მარცხნიდან მეხუთე).

ფოტო ა. სიმონიშვილისა.

დირექტორია გიგლემიანი

უღუნოდ, ვეგმის გადამეტებით

ნარსულის მრავალი ღირსშესანიშნაობით არის საინტერესო ჩვენი მაღაროს ისტორია. სწორედ აქ, მღვიმევის ზეგანზე, ეგრეთწოდებულ „კვინცხნარის“ ველში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაკრეს პირველი წერაქვი ქართველმა სამთოელებმა, და მას შემდეგ ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა შრომა.

აქ შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ ჭიათურელი რევოლუციონერები, ამ მაღაროს მიწისქვეშა გამონამუშევრებსა და გამოქვაბულებში იბეჭდებოდა რევოლუციური ფურცლები და პროკლამაციები.

იგი ადრე „მღვიმე-ხრამის“ სახელს ატარებდა, ახლა კი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახელს ატარებს, და ეს სახელი მაღაროს მშრომელებს თავიანთი თავდადებული და ენერგიული შრომით არასოდეს შეურცხვენიათ.

ხუთწლედის მეორე წელი მნიშვნელოვანი იყო კალინინელების ისტორიაში. იგი აღინიშნა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ კალინინელებმა I-II-III კვარტალების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

საიუბილეო წლის საწარმოო გეგმა მაღაროს მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და სამშობლოს მისცეს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

მაღაროს მშრომელები პრაქტიკულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადწყვეტილებებს, ახალი შრომითი შემართებით შრომობენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იმ ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის, რომლებიც ჭიათურელმა მაღაროელებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ხუთწლედის მეორე წელი ჩვენი კოლექტივისათვის იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ უნდა მომზადებულიყავით ხუთ სამუშაო და ორ დასვენების დღიან კვირაზე გადასასვლელად, რაც მაღაროს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს მთელ კოლექტივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებდა. საქმე იმაში იყო, რომ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას კი არ უნდა შეემცირებინა პროდუქციის გამოშვება, არამედ უფრო მეტად უნდა გაეზარდა იგი, ამავე დროს გაეუმჯობესებინა მუშათა შრომითი საქმიანობა, გაეზარდა თვითეული მუშის ნაყოფიერება.

სწორედ ამას მიეძღვნა საწარმოო თათბირები და მუშათა კრებები, სადაც გადაწყდა მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიური საკითხები, კერძოდ: მეოთხე და მეხუთე უბნებში დაინერგა მცირეგაბარიტიანი დამტვირთავი მანქანა, რომელიც ცვლაში 60-70 ტონა მარგანეცს ტვირთავს. მესამე უბანი, რომლის სადღეღამისო წარმადობა 1300 ტონას უდრიდა, მთლიანად გადაყვანილ იქნა მექანიზებულტვირთვაზე. მთავარი ყურადღება დაეთმო მადნის პირველად გამდიდრებას სანგრევებზე, გადამჭრელი მეალთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ურიდიამ, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის გულრიფშის და გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივნებმა ხ. ჯიქიამ და ვ. ტანიამ, ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ეზუგბაიამ, აფხაზეთის ასსრ ძეხლტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსმა ს. ცინცაბაძემ, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამხატვრო მასტრომ ი. კაკალიამ, ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ლეკვეიშვილმა, სოხუმის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის დირექტორმა ც. ხონელიამ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ნ. ნოდიამ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის სოფლის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სოხუმი. (საკ. კორ.).

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. გალაშვილის მოხსენება „აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის გულრიფშის და გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივნებმა ხ. ჯიქიამ და ვ. ტანიამ, ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ეზუგბაიამ, აფხაზეთის ასსრ ძეხლტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსმა ს. ცინცაბაძემ, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამხატვრო მასტრომ ი. კაკალიამ, ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ლეკვეიშვილმა, სოხუმის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის დირექტორმა ც. ხონელიამ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ნ. ნოდიამ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის სოფლის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

თათბირ-სემინარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა მოაწყო თათბირ-სემინარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთათვის.

მოხსენება „პოლიტინფორმატორი — მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წამყვანი ძალა“ გააკეთა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ პასუხისმგებელმა მდივანმა კ. კალანდაძემ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს დამსწრეებს წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ პარტბიუროს მდივანმა ჰ. მიქავამ, საქალაქო მილიციის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ქავთარაძემ, ბამბის ფაბრიკის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა გ. შაულსკმ, № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა შ. იოსებიშვილმა, „საქენერგოგასაღების“ პარტბიუროს მდივანმა შ. ჩიჩუამ, პოლიტინფორმატორმა ვ. ბოლქვაძემ და სხვებმა.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ბატაშვილმა. (საქდესი).

მოსახლეობას უკეთესი მომსახურება!

გაიმართა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენება საყოფაცხოვრებო სამსახურის 1967 წლის მუშაობის შედეგებისა და 1968 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დუმბაძემ.

კრებაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში განსორციელდა სერიოზული ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო სამსახურის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ახლა საქართველოში მუშაობს 8 ათასამდე კომბინატი და პავილიონი, ატელიე, სახელოსნო, ქიმიური წმენდის ფაბრიკა და სხვა საწარმო, რომლებშიც დასაქმებულია 40 ათასზე მეტი კაცი. გასულ საიუბილეო წელს რესპუბლიკის მოსახლეობას გაუწიეს 37 მილიონი მანეთის სხვადასხვა მომსახურება — ძნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამუშავდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 145 ახალი ობიექტი.

მიუხედავად ამისა, აღინიშნა კრებაზე, მშრომელთა მოთხოვნილებანი სრულად როდი კმაყოფილდება. ჯერ კიდევ სუსტად ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს საყოფაცხოვრებო სამსახურის ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ყოველთვის კრიტიკულად როდი აფასებენ იმ ობიექტების საქმიანობას, რომლებსაც მეთაურობენ.

დიდი ამოცანებია დასახული საკოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკთა წინაშე მომდინარე წელს. ქალაქისა და სოფლის მშრომელებს გაუწევენ 43 მილიონი მანეთის ოდენობით მეტი ღირებულების სხვადასხვა მომსახურებას. ამუშავდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 132-ზე მეტი კომბინატი, პავილიონი, ბანაო და სხვა დაწესებულება. ამ ობიექტების კვალიფიციური კადრებით დასაკომპლექტებლად 1700 კაცი სასწავლებლად წავა მოსკოვში, ლენინგრადსა და რიგაში.

ახალი წარმატებებით აღინიშნონ 1968 წელი — ასეთია საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკთა დევიზი. ყველას თავისი გეგმა, განზრახვა და ჩანაფიქრი აქვს. სწორედ ამაზე ილაპარაკეს აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ი. კაკალიამ, აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურის მინისტრმა გ. გოგიტიძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა გ. აფსაძემ, საქართველოს საყოფაცხოვრებო სამსახურის მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. ბიკუსმა, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა გ. რუხაძემ, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა მ. სესკურიამ, მცხეთის რაიონის მუხრანის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზატორმა ვ. კარაპეტოვმა, თბილისის სარეცხი და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკის დირექტორმა რ. მაღრაძემ და სხვებმა. (საქდესი).

საზეიმო კრება ულან-ბაჰორში

ულან-ბატორი. 15 იანვარს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მონღოლეთის დედაქალაქის პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების 22-ე წლისთავს მიეძღვნა. პრეზიდიუმში იყვნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. სამბუ და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ნ. სოლოვიევი.

კრებაზე მოხსენება გააკეთა მონღოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციათა ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ადილბიშმა. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობა, თქვა მან, თავიდანვე იყო მაგალითი და ნიმუში სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ პატივისცემის, ძმური თანამშრომლობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

საბჭოთა კავშირის დიდი დახმარებით, ხაზი გაუსვა შემდეგ მომხსენებელმა, ჩვენი ახალგაზრდა ეროვნული მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. სსრ კავშირი უახლაესებელ დახმარებას გვიწევდა და გვიწევს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია კულტურისა და მეცნიერების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ჩვენი ქვეყნის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, აღნიშნა დასასრულ დ. ადილბიშმა, კვლავ წარმატებით ვითარდება. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1965 წლის აპრილში ამხანაგ ი. ცედენბალის მეთაურობით და სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საპასუხო მეგობრული ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით თვალსაჩინო ისტორიული მოვლენაა მონღოლი და საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის ტრადიციული ურთიერთობის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის დროს დადებულმა ახალმა ხელშეკრულებამ დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის ისტორიაში.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ნ. სოლოვიევმა.

სპრძოლო მამოცდილების ერთთვიური

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო არმიაში დაიწყო საბჭოთა არმიის საბრძოლო გამოცდილებისა და ტრადიციების შესწავლის ერთთვიური. ულან-ბატორის გარნიზონის ოფიცერთა სახლში გაიმართა მონღოლეთის სახალხო არმიის ჯარისკაცთა, სერჟანტთა და ოფიცერთა კრება. მოხსენება გააკეთა სახალხო არმიის საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ს. რავდანმა. (საკდესი).

ქონაკრის სესიის მუშაობის შედეგები

ბამაკო, 17 იანვარი. (საკდესი). საქიროა, რომ 1968 წელი გახდეს აფრიკის კონტინენტის ნამდვილი დეკოლონიზაციის წელი, განაცხადა მალის დედაქალაქში ჩამოსულმა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დიალო ტელიმ. მან დაახასიათა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის კობაკრის სესიის მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ სესიაზე მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. მან გამოთქვა რწმენა, რომ ეს გადაწყვეტილებანი უახლოეს დროში შესრულდება. დიალო ტელიმ შემდეგ აღნიშნა, რომ განთავისუფლების კომიტეტის სესიის მონაწილეებმა ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ აფრიკის კონტინენტის განთავისუფლებისათვის.

ბამაკოში დიალო ტელი შეხვდება მალის პრეზიდენტს მოდიბო კეიტას და განიხილავს მასთან ერთად მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც შეეხება აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საქმიანობას.

სურათზე: საფეიქრო ფაბრიკა ჰავანის ახლოს. ფეიქრებმა ონელია კასტელიომ (მარჯვნივ) და ფელიქს ლუიმ საწარმოში ერთ-ერთმა პირველმა აითვისეს საფეიქრო დაზგებზე მუშაობის ჩქარონული მეთოდები.

ფოტო საკდესისა.

ვილსონის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 17 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ე. პავლოვი იუწყება: უალრესად დაძაბულ ვითარებაში განაახლა მუშაობა ინგლისის პარლამენტის თემთა პალატამ. დღის წესრიგში იდგა პრემიერ-მინისტრ ვილსონის განცხადება მთავრობის ხარჯების შემცირების პროგრამის შესახებ, რომელიც კაბინეტმა მიიღო. ეს პროგრამა შეეხება სახელმწიფოს ცხოვრების ძალიან ბევრ დარგს და გავლენას მოახდენს მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე.

მთავრობამ, განაცხადა ვილსონმა, გადაწყვიტა შეამციროს თავისი ხარჯები ყველა დარგში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, რათა ეს ხარჯები შეესაბამებოდეს ქვეყნის შესაძლებლობებს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობამ დასახა მნიშვნელოვნად შეამციროს ბანკნოტების, საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალურ ღონისძიებათათვის განკუთვნილი ხარჯები. გათვალისწინებულია, კერძოდ, შემცირდეს საბინაო მშენებლობის პროგრამა 16,5 ათასი სახლით ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში, შეიკვეცოს სკოლების მშენებლობის პროგრამები, დაწესდეს საფასური წამლის რეცეპტის გამოწერისათვის და სხვ.

ვილსონმა განაცხადა, რომ ყველა ამ ღონისძიებას მოჰყვება გათვალისწინებული ხარჯების შემცირება 325 მილიონი გირვანქა სტერლინგით 1968-69 საფინანსო წელს და 441 მილიონი გირვანქა სტერლინგით 1969-70 საფინანსო წელს.

გადადგა ინგლისის კაბინეტის წევრი

ლონდონი, 17 იანვარი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა ინგლისის კაბინეტის წევრი, ბეჭდის ლორდ-მცველი ლორდი ლონგფორდი. ბეჭდის ახალ ლორდ-მცველად დანიშნულია ყოფილი უპორტფელო მინისტრი ლორდი შეკლონი, იგი ამავე დროს დაიკავებს ლორდთა პალატის ლიდერის პოსტს, რომელიც ეკავა ლონგფორდს. ლორდ ლონგფორდის გადადგომა გამოიწვია იმან, რომ იგი არ დაეთანხმა განათლების ხარჯების შემცირებების ღონისძიებებს, რომლებიც მთავრობამ თემთა პალატაში გამოაცხადა.

დამთავრდა გვინეის პარლამენტის სესია

კონაკარი, 17 იანვარი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა ახალი მოწვევის ეროვნული კრების პირველმა სესიამ. პარლამენტის დეპუტატებმა დამტკიცეს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შედეგები, რომელიც გაიმართა 1 იანვარს, და ამჟამად სეკუ ტურე გამოაცხადეს რესპუბლიკის პრეზიდენტად შემდგომი შვიდი წლისათვის, მიმდინარე წლის 15 იანვრიდან.

დეპუტატებმა აირჩიეს ეროვნული კრების ბიუროს ახალი შემადგენლობა. კრების თავმჯდომარედ არჩეულია ლეონ მაკა, პირველ ვიცე-თავმჯდომარედ — ბარუ კამბა სიფე, მეორე ვიცე-თავმჯდომარედ — დიალო მამადუ სანკარე.

პარლამენტის დეპუტატების წინაშე გვინეის რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ამჟამად სეკუ ტურემ.

საგანგებო წესები გვატემალაში

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საგანგებოს კორესპონდენტი ქალქ გვატემალიდან გვატყობინებს, რომ პრეზიდენტმა ხულიო სესარ მონტერო�რომ გვატემალაში გამოაცხადა საგანგებო წესები. ამ დეკრეტით აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და გაუქმდა მოქალაქეთა ბევრი კონსტიტუციური უფლება. საგანგებო წესების შემოღების საბაბი ის იყო, რომ დედაქალაქის ქუჩაში თაოს დაესხნენ ამერიკელ საბჭოთა მოსამსახურეებს, რის შედეგად, როგორც უკვე ეცნობებოდით, ორი ამერიკელი დახოცეს, ორი კი დაჭრეს.

ინგლისს შავი დღე დაუდგა

ლონდონი, 17 იანვარი. (საკდესი). „შავი დღე დაუდგა ინგლისსა და მუშათა მოძრაობას", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა— იმის გამო, რომ გუშინ თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა გამოაცხადა მთავრობის ხარჯების შემცირება. „მთავრობამ, — თქვა მან, — მთლიანად დაამყაოფილა თავისი ქვეყნის ბანკირთა და კონსერვატორთა ყველა მოთხოვნა".

ეს შემცირება ვერ აღმოფხვრის ინგლისის სიძნელეთა ხიძვლილ მიზეზს. ეს მიზეზია დაწლუპველი პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდნენ ერომანეთის შემცველი მთავრობები, რომლებიც ხელყოფდნენ მოსახლეობის ცხოვრების ფონეს.

„მთავრობის განცხადება რომ ევროპის ფარგლებს გარეთ მყოფი შეიარაღებული ძალების გამოყენება საფრთხეს არ შეუქმნის ჩვენს უშიშროებას, მხოლოდ ბაზს უსვამს, რომ დანაშაულებრივად ფლანგავენ უდიდეს სახსრებს უცხოური ვალუტით, რაც ახლანდელი კრიზისის ძირითადი მიზეზია", — ხაზგასმით აღნიშნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა.

საიდუმლო მოლაპარაკების გრძელდება

ვაშინგტონი, 17 იანვარი. (საკდესი). ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე მოშე ბიტანი საიდუმლო მოლაპარაკებს აწარმოებს სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალურ წარმომადგენლებთან. გუშინ იგი შეხვდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ანლო ალმოსაელეთისა და სამხრეთ აზიის საქმეთა გამო სემუელ ბერჯერს. მოშე ბიტანი შედიოდა იმ დელეგაციაში, რომელსაც მეთაურობდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეშკოლი ამერიკის შეერთებულ შტატებში აშასწინანდელი ვიზიტის დროს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგანგებო აღნიშნავს, ბიტანის შეხვედრა ამერიკელ ოფიციალურ პირებთან ვაშინგტონში, „ბუნებრივი გაგრძელებაა" ჯონსონისა და ეშკოლის მოლაპარაკებისა. ამ მოლაპარაკების დროს, აღნიშნავს ჟურნალი „ნიუსუიტი", ეშკოლს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აღუთქვა, რომ დაიკმაყოფილებს ისრაელის თხოვნას „ფანტომის" ავიაგამანადგურებელ — ბომბდამშენთა მიწოდების შესახებ.

ფინეთის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები

ჰელსინკი, 17 იანვარი. (საკდესი). წინასწარი მონაცემებით, 15-16 იანვარს გამართული პრეზიდენტის არჩევნების დროს ფინეთში 300 ამრჩევიდან არჩეულია უ. კეკონენის 202 ამრჩევი, მ. ვირკუნენისა — 66 და ვ. ვენამოისი — 32 ამრჩევი. სულ არჩევნებში მონაწილეობდა ორ მილიონამდე ამომრჩეველი, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა დაახლოებით 69 პროცენტს.

ამრჩევნი ფინეთის პრეზიდენტს აირჩევენ 15 თებერვალს.

გრიგალის შედეგები ტუნისში

ტუნისი, 17 იანვარი. (საკდესი). გრიგალისებრმა ქარმა, რომელიც ამ ბოლო დროს მძვინვარებდა ტუნისის ტერატორიაზე და ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობას. ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში მოვიდა თოვლი. ზოგან თოვლის ფენის სისქე ერთ მეტრს აღწევს.

განსაკუთრებით დაზარალდა ციტრუსოვანთა პლანტაციები. წინასწარი მონაცემებით, ქარმა ხეებიდან ჩამოყარა 4 ათასამდე ტონა ფორთოხალი და ლიმონი.

თოვლი და ქარბუქი იორდანიაში

ამანი, 17 იანვარი. (საკდესი). უკვე რამდენიმე დღეა იორდანიაში ქარბუქი მძვინვარებს. იორდანელთათვის ეს მძიმე სტიქიური უბედურებაა. სიცივეთ დაღუპა 13 კაცი. როგორც ამანის რადიო იუწყება, ყველა დაზარალებული ლტოლვილია იორდანიის დასავლეთ რაიონებიდან, რომლებიც ისრაელმა დაიპყრო. ისინი ცხოვრობენ დროებით კარვების ბანაკებში. პრემიერ-მინისტრმა ატ-ტალხუნიმ დღეს განაცხადა, რომ თოვლმა დიდი ზარალი მიაყენა ლტოლვილთა რამდენიმე ბანაკს და მათი მობინადრეები უსახლკაროდ დატოვა.

იორდანიის დედაქალაქში გაძნელდა მოძრაობა. სკოლებში შეწყდა მეცადინეობა. მთელ რიგ რაიონებში თოვლის სიმძიმემ მოტეხა ხეები, რომლებმაც დაზიანეს ელექტრგადაცემის ხაზები. ადგილობრივ ტელევიზიამ დაიხურა. ადგილობრივი ხელისუფალნი სასწრაფო ღონისძიებებს აპირებენ ამანში ნორმალური ცხოვრების აღდგენისათვის.

ფრანგ კომუნისტთა სოლიდარობა

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ავრესია ვიეტნამში უბრალო კოლონიური ექსპედიცია კი არ არის, არამედ ტოტალური ომი, რომელიც შედის ამერიკის იმპერიალისტთა გეგმებში მსოფლიო ბატონობის შესახებ, განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ.

გააკეთა რა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენება წინადადების შესახებ, რომ შეიქმნას ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და გამარჯვებისათვის მოქმედების ეროვნული კომიტეტი, ვ. როშემ აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამში ამჟამად ირიცხება 500.000 ამერიკელი ჯარისკაცი, ხოლო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა თვისი ძალით სჯარბობს ყველა დაბომბვას, რომლებიც ევროპამ განიცადა უკანასკნელი ომის დროს.

ამერიკის იმპერიალიზმი ასრულებს „კაპიტალისტური სამყაროს მსოფლიო ჟანდარმის" როლს, რომლის მიზანი ის არის, რომ გატეხოს ხალხთა მოძრაობა განთავისუფლებისათვის, ლაზარი ჩასცეს სოციალისტურ ქვეყნებს.

სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, განაგრძო ვ. როშემ, მზარდ დახმარებას უწევენ ვიეტნამელ ხალხს, გზავნიან ვიეტნამში იარაღს, ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს, ტრანსპორტის საშუალებებს.

საჭიროა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებმაც გააძლიერონ ვიეტნამის ხალხისადმი სოლიდარობის მოძრაობა.

ვ. როშემ დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ საფრანგეთში გაიშალა ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის ინ კამპანია, რომ იმართება მიტინგები და დემონსტრაციები, აგროვებენ მატერიალურ სახსრებს. პოლიტბიუროს, თქვა მან., მიზანშეწონილად მიაჩნია მეტი ყურადღება დაუთმოს და თავისი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმაროს მასების მოძრაობის გაძლიერებას ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად.

პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს პოლიტბიუროს წინადადება, რომ შეიქმნას ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და გამარჯვებისათვის მოქმედების ეროვნული კომიტეტი. პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

ჩინეთის ამბები

პეკინი ეგრეთ წოდებულმა „რევოლუციურმა კომიტეტმა" ედედაქალაქში მოაწყო „არმიის მხარდაჭერის მიტინგი". მიტინგზე გამოაცხადეს დირექტივა „ღრმად და ფართოდ გაშალონ მოძრაობა არმიის მხარდასაჭერად". დირექტივაში ეკრძოდ, ნათქვამია: „პეკინის ჯარის ნაწილები და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის პეკინის გარნიზონი ეწარეგორულად ასრულებდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერის, საწარმოებისადმი, დაწესებულებებისა და სასწავლებლებისადმი სამხედრო კონტროლის დაწესების, მოსწავლეთა სამხედრო წვრთნის ამოცანებს და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს დიდ კულტურულ რევოლუციაში".

არმიის გაზეთ „ძეფანძიუნ ბაოში" დაიბეჭდა მოწონავე სტატია, რომელმე მაშინვე გადაბეჭდეს „ყეხმინ ჟიბაოს" და დედაქალაქის ყველა დანარჩენმა გაზეთმა. „ახალ წელს, — ნათქვამია ამ სტატიაში, — ჩვენმა არმიამ უნდა შეასრულოს კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანები". ადგილობრივი გარნიზონების სარდლობის წინაშე ისახება ამოცანა მხარი დაუჭირონ და წაახალისონ ყველაფერი, რასაც ამბობენ და აკეთებენ ხუნვეიბინთა ორგანიზაციები.

სტატიაში აღნიშნულია, რომ არმიისათვის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა მხარი დაუჭიროს ხუნვეიბინებსა და ქაოფანებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, განაზორციელოს სამხედრო კონტროლი". ჯარის ქვეგანაყოფებმა „ყველგან უნდა გაუწიონ დახმარება რევოლუციურ მასობრივ ორგანიზაციებს თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა შესწავლასა და პრაქტიკულად გამოყენებაში".

ლანჯოუს რაიონის ძაოფანთა კონფერენციამ გადაწყვიტა არმიასთან ერთად დათრგუნონ „ძირგამომბრწყინავი საქმიანობა". კონფერენციის ორგანიზატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა „მოისპოს დაჯგუფება" ძაოფანთა „მორის და აღმოფხვრას" მუშათა კლასის გათიშვა".

ასეთსავე კონფერენციაზე ქალაქ ხუბოტოში განიხილეს შიდა მონღოლეთში „შემარცხენეებისათვის" არმიის მხარდაჭერის პრობლემა. სამხედრო ოლქის კომისარმა უ ტამ თავის სიტყვაში კონფერენციაზე მოითხოვა უზრუნველეყოს „გარანტიები კულტურული რევოლუციის წარმატებით განხორციელებისათვის".

ხენანის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა და ხენანის პროვინციის ეგრეთ წოდებულმ „რევოლუციური კომიტეტის" შექმნის მოსამზადებელმა ჯგუფმა მოაწყვეს „გასაუბრება" სოფლად „კულტურული რევოლუციის" განხორციელების საკითხებზე. მათ მოითხოვეს, რომ გლეხებმა „მტკიცედ და განუხრელად შეასრულონ სამხედრო პირთა მითითებანი".

„განსუ ჟიბაო" ხაზს უსვამს არმიის გადამწყვეტ როლს ჩინეთის ცხოვრების ყველა სფეროში და წერს, რომ გასულ წელს შეიარაღებული ძალების წარმოდგენელები „მხურვალედ გაძოეხმაურნენ თავმჯდომარე მაოს დიდ მოწოდებას" და წავიდნენ განსუს პროვინციის სამრეწველო და სამთამადნო საწარმოებში, სასოფლო სახლხო კომენებში, სადაც „გადამწყვეტი გავლენა" მოახდინეს.

იუწყებიან, რომ ძიანსის პროვინციაში შეიქმნა „რევოლუციური კომიტეტი". ამასთან სინხუას საგანგებო აღნიშნავს, რომ „ბრძოლის კრიზისულ მომენტში არმიამ თავმჯდომარე მაოს მითითების შესაბამისად... გადაკრთო დაუჭირა მხარი „ძაოფანებსა და ხუნვეიბინებს. „ამით, — ნათქვამია შემდეგ ცნობაში,— არმიამ შეიტანა უდიდესი წვლილი. პროვინციაში ახალი ორგანოს შექმნის გამო გამართულ მიტინგზე მისმა თავმჯდომარემ ჩენ ში-ციმმა განაცხადა, რომ ეს „მხოლოდ პირველი ნაბიჯია დიად ლაშქრობაში". წინ გველის კიდევ უფრო ძნელი ამოცანები, ხაზი გაუსვა მან. ამ ამოცანათაგან ყველაზე ძნელად ჩენ შიციმს მიიჩნია „პარტიის მომავალი მოწესრიგება", ესე იგი იმათი განდევნა პარტიიდან, ვინც არ ეთანხმება მაოს იკონტრიბუტულ ხაზს.

(საკდესი, 16 იანვარი).

ერთგულება

დრო და ადამიანები



საყვნია, როცა ადამიანს არ ახსოვს, რა მოხდა გუშინ, გუშინწინ... საბედნიეროდ, ეს ემართებათ მხოლოდ ერთეულებს, მაგრამ არის სხვა დაავადებაც, ადამიანი თავის გარშემო ვერ ხედავს ვერაფერს, გარდა წარსულისა. რა თქმა უნდა, არც ერთია სასურველი და არც შერეკ, ადამიანი უნდა ცხოვრობდეს არა მარტო თავისი ასაკით, არამედ დროის ასაკითაც, წარსულში ჩვენს მიერ განცდილ-განდატანილი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული აწმყოსთან, წარსულის გახსენება გვეხმარება უკეთესად შევიცნოთ დღევანდელობა, ნათლად დავინახოთ მომავალი.

ამ წერილში მინდა მოგითხროთ ჩვენი ქვეყნის ერთ ღირსეულ შვილზე, რომლის პიროვნებაში მშვენივრად არის შერწყმული წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ცხოვრება ერთი ადამიანის თაგვადასავალს კი არ გამოხატავს, არამედ უფრო მეტს. იგი ეკუთვნის ბოლშევიკების იმ მოდგმას, რომლებმაც ნათელი გონებით და დაუღალავი მარჯვენით ააშენეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და სინამდვილად აქციეს კაცობრიობის საუკეთესო შვილების სანუკვარი ფიქრი და ოცნება.

ილიას სამაგალითოდ დაიბადა ჭოპორტაში, არაგვის ნაპირას შეფენილ სოფელში. აქ გაიარა მისმა ბავშვობამ და სიჭაბუკის უმტკივნეულო წლებმა. აქ შეიყვარა მან შრომისგან მოუქანცავი თავისი მეზობლები და მეგობრები, რომლებსაც აუტანელი გაჭირვებისათვის ვერ დაეხმარა თავი.

1918 წლის ზაფხულში, დუშეთის მაზრაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, რომლის აქტიური მონაწილე იყო ილიების უფროსი ძმა შაქრო. გამხეცებულმა მენშევიკებმა აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს, მრავალი დახვრიტეს და მრავალი ციხეში ჩაალაპეს. შაქრო სამაგალითვილმაც განიცადა რეპრესიები, რასაც მოჰყვა მისი სიკვდილი. ამანაც ერთგვარად განაპირობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ილიების ადრეული ჩამბმა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე იგი კომკავშირის წევრი ხდება თავისივე სოფელში.

1922 წელს სასწავლებელში, სადაც ილიები სწავლობდა, შეიქმნა კომკავშირის უჯრედი, რომელიც, პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად, სათავეში ჩაუდგა მოსწავლეთა პოლიტიკურ ცხოვრებას. დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა კომკავშირელთა რიგები.

1924 წელს ილიებმა სასწავლებელი დამთავრა და სამუშაოდ ისევ მშობლიურ ჭოპორტს დაუბრუნდა. მალე კომკავშირის თემკომის მდივნად აირჩიეს. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სასოფლო ტყეებში და მთის ბილიკებზე ხშირად ისმოდა ჩასაფრებული მტრის თოფის სროლა. კლასობრივი მტერი ებრძოდა კომუნისტებსა და კომკავშირელებს, საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიურ მებრძოლებს.

იზრდებოდა და მტკიცდებოდა კომკავშირის რიგები. რომელთა სათავეში ილიები იდგა. მტრების ბოროტი სისინის მიუხედავად, ახალგაზრდობა ებრძოდა ძველს, ყოველგვარ დრომოჭმულს. მთავარი იერიში მიტანილი იყო რელიგიის წინააღმდეგ. ადამიანთა შეგნებაში ფეხს იკიდებდა ახალი, კომუნისტური. ყველა კომკავშირელი შეიარაღებული იყო ამა თუ იმ სახის იარაღით. ეს მაშინ საჭირო იყო; მილიციასთან ერთად, ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა ბანდიტებთან ბრძოლაში, რომლებიც იმ დროისათვის მშიერი მგლებივით დაძრწოდნენ საარაგვზე.

1924 წლის აგვისტოში დაიწყო მენშევიკური ავანტიურის სისხლიანი დღეები. მართალია, დუშეთის მაზრაში მენშევიკთა მასობრივი გამოსვლები არ ყოფილა, მაგრამ მენშევიკების ნარჩენმა ბანდამ მაინც ისურვა დუშეთში „გასეირნება"...

„ტყის კაცები" არ ისვენებდნენ, მოსახლეობას აწიოკებდნენ, საჭირო იყო მათი გაანადგურება. ჭოპორტში შეიქმნა 25 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომლის ნახევარს კომკავშირელები შეადგენდნენ. რაზმს ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის უკვე გამოცდილი მებრძოლი, დუშეთის 1918 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე ვანო ირმრდანაშვილი, მის მოადგილედ ითვლებოდა ილიებ საძაგლიშვილი.

მთელი ორმოცი დღე და ღამე რაზმის წევრები დასდევდნენ ბანდიტებს ჭოპორტის, დავაფის, ახალციხის თუ კომკასყელას ტყეებში, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სიკვდილი.

მენშევიკურმა ავანტიურამ სრული მარცხი განიცადა. დადგა მშვიდობიანი შრომის დღეები. იმავე წელს დეკემბერში ილიები კომკავშირის თიანეთის რაიკომის მდივნად გადაიყვანეს. პირველი ღამე რაიკომის შენობაში გაათენა. ძნელი ვახდა ბინის შოვნა. ილიებმა შემთხვევით ყური მოჰკრა, რომ თიანეთში ვიღაც რუსი კაცი ამშავებს ორმოცდათი ცხენისძალიან ელექტროსადგურს და, რომ იმ კაცს სახელად ტიოთე ჰქვია, ჰყვარებია წიგნები.

ზამთრის ერთ ცივ საღამოს ილიები მიადგა უბადრუკ შენობას და მორიდებით დააკაკუნა კარი, საიდანაც მაზუთში მოსვრილი ტიმოთე გამოვიდა. — მობრძანდით, — უთხრა მან და უცნობს შინ შეეძღვა. ტიმოთეს ცალკე ოთახი არ ჰქონდა, ცხოვრობდა იქ, სადაც ლოკომოტივი იდგა. ძალიან თბილოდა. ცოტა ქართული მასპინძელმა იცოდა, ცოტა რუსული ილიებმა, და საუბარი არ უჭირდათ. ტიმოთეს ჯ. მარქსის „კაპიტალი" აღმოაჩნდა, საერთოდ ეს უბრალო მუშა და ცოდნასმოწყურებული კაცი, ცდილობდა ყველაფერს ჩასწვდომოდა, ყველაფერი გაეგო. დიდხანს ტკბილად ისაუბრეს, ივახშმეს. ამასობაში კარგა დრო გასულიყო, ივრის ხეობაში ბნელი ღამე ჩამოწოლილიყო. ილიებმა წასვლა დააპირა, მაგრამ ტიმოთემ არ გაუშვა. არც ამაზე განაზებულა ილიები, რადგან რაიკომის გაყინულ სახლში ეს სითბო სჯობდა.

ზვიდი-რვა თვის შემდეგ საძაგლიშვილი ისევ დუშეთში, კომკავშირის სამაზრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ დანიშნეს. 1926 წლიდან ილიები სამაზრო აღმასკომის პოლიტიკური განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში.

1927 წელს ილიებს ირჩევენ კომკავშირის დუშეთის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, სადაც მუშაობს მაზრის ლიკვიდაციამდე. 1928 წლის აგვისტოში დუშეთში შეიქმნა რაიონი, რომელიც შედიოდა თბილისის ოლქში, ილიები მუშაობას იწყებს პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტში, სოლო 1929 წლის მარტში ირჩევენ პარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივნად.

დაიწყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. 1932 წლის დასვლეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საფუძვლიანად განიხილა სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის საკითხები. პლენუმზე გადაწყდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან შექმნილიყო პოლიტგანყოფილებები.

ილიებ საძაგლიშვილი დაინიშნა ჯერ ლაგოდეხის და მერე ყვარლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსად.

ბევრი ღამე უძილოდ გაათენა მაშინ ილიებ საძაგლიშვილმა. ზოგჯერ მთელი კვირეები იყო ჩამჯდარი ამა თუ იმ კოლმეურნეობაში, რათა გამოეცხადებინა ჩამორჩენა. მიდიოდნენ წინ გაუვალი გზებით და ბილიკებით, იყო შეცდომები და ჩავარდნები, მაგრამ იყო უდიდესი წარმატებებიც.

თანდათანობით წელში გაიმართნენ, არწივის ფრთები დაისხეს ახალგაზრდა კოლმეურნეობებმა. თვითეული შრომადღეზე გავიზის, ჭიკანის, შილდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში ხუთიდან ათ კილოგრამამდე მარცვალს ანაწილებდნენ, თანდათანობით მოწესრიგდა შრომა.

პოლიტგანყოფილების ინიციატივით, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები პირველი პიონერები გახდნენ სიმინდისა და ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანაში.

მიმდინარეობდა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობა. ილიებ განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი ყაბარდოელი დელეგატის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, ჰექტარზე 600 ფუთ სიმინდს მოვიყვანო.

მეორე დღეს პოლიტგანყოფილებაში თავი მოიყარეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, იმსჯელეს, შესაძლებელი იყო თუ არა ჰექტარზე 600-700 ფუთი სიმინდის მიღება. მერე მოიწვიეს უფრო ხნიერი, გამოცდილი კოლმეურნეებიც. ვერც მათ თქვეს რაიმე სანუგეშო.

უძილო ღამეების შემდეგ ილიებს საუბარი ჰქონდა ყაბარდოელ ინჟინერ-ტექნიკოსთან, ინჟინერ ეფრემიძესთან, რომელსაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული. დიდი ანგარიშისა და კამათის შემდეგ გადაწყვიტეს დათესავთ საცდელი ნაკვეთები. ასეც გააკეთეს. შემოდგომაზე ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჰექტარზე 700-800 ფუთი სიმინდი აიღეს. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კოლმეურნეთა შრომას ფასდ არ ჩაუვლია. ყვარელელ მესიმინდეთა წარმატებებს მთელი ერთი გვერდი მიუძღვნა გაზეთმა „კომუნისტმა".

პოლიტგანყოფილებებმა თავიანთი მო

ჩვენს ყველა-ჯერ-ში

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდენის კორესპონდენტები

ახალი დასახლება

ქახაბრის ველზე, იქ, სადაც სოფელი ხელვაჩაურია, შენდება ბათუმის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. აქ უკვე წამოიმართა საცხოვრებელი სახლებისა და ადმინისტრაციულ შენობათა კორპუსები. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა მინითა და რკინაბეტონით ნაგები კეთილმოწყობილი რესტორანი „ხელვაჩაური“. (საკ. კორ.).

მოსწავლე „ჯადოქრები“

სილნალი. (საკ. კორ.). წნორის რუსული საშუალო სკოლის ნორჩმა ქიმიკოსებმა საინტერესო ღონისძიებებით არა მარტო ქალაქის სკოლების მოსწავლეები, არამედ უფროსი თანამემამულეებიც მიიზიდეს. მებრძოლი ათეიზმის უჯრედი დღეს აქ მეტად პოპულარულია.

ამ დღეებში გამართულ შეკრებაზე მეათეკლასელმა ი. ჯაბაშვილმა წაიკითხა მოხსენება „როგორ წარმოიშვა რელიგია“, ხოლო „ჯადოქრის“ ტანსაცმელში გადაცმულმა ხუთოსანმა ვ. იაკენკომ ქიმიის „დიდი ატრაქციონი“ უჩვენა. მის მიერ ნაჩვენებ ცდებს „ეშმაკის ალი“, „საოცრებათა ჯოხი“, „მონეტის განახლება“ და სხვ. წრის ხელმძღვანელის ს. ხლებნიკოვას და კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მ. ბოგოიავლენსკაიას ათეისტური საუბრები ენაცვლებოდა.

იღბლიანი ბილეთები

საჩხერის მცხოვრებლები — ზესტაფონის რკინიგზის საჩხერის რესტორნის მებუფეტე მანგური ვასოს-ძე მაისურაძე, საჩხერის რაიკოოპერატივის სოფელ ჩიხის პურის საცხობი ფურნის პურის მცხოებელი ტარიელ ილიკოს-ძე ზაპახიძე და მოქალაქე ზაურ ვლადიმერის-ძე მღებროვი სსრ კავშირის დოსაფის 1967 წლის მეორე ავტომოტოლატარიის იღბლიანი ბილეთების მფლობელნი გახდნენ. მათ № 342147, № 025189 და № 066329 ლატარიის ბილეთებით შესაბამისად მოიგეს ავტომანქანა „ჟოლგა“, ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ და მოტოციკლეტი „ვოსხოდი“.

ა. ანასაშვილი.

დაღუპვას გადაარჩინეს

ამას წინათ ზუგდიდის მე-7 ტექნიკური კვანძის პირველი უბნის მაგისტრალური ბაზების სარემონტო ბრიგადა ოთხი კაცის შემადგენლობით ზუგდიდიდან მანქანით ხობის რაიონში დაზიანების აღსადგენად მიემგზავრებოდა.

ოქტომბრის ქუჩაზე გავლის დროს, როცა ამავე ქუჩაზე მცხოვრებ ნ. კობახიძის სახლის ეზოს ეიშკარს მიუახლოვდნენ, მონტიორმა ტ. კობალიამ ხის ზემოთ გაეკვანილ ელექტრომავთულზე ჩამოკიდებული 11 წლის ბავშვი ბადრი კობახიძე შენიშნა. ამის დანახვაზე იგი სასწრაფოდ გადახტა მანქანიდან, უმალვე შემოხვევის ადგილზე გაჩნდა, ხელი სტაცა გოლნებადაკარგულ ბავშვს და სადენიდან ჩამოხსნა. მერე მას ტექნიკური კვანძის უფროსი ტექნიკოსი ლ. ბურღაშვილი, მონტიორები კ. ჩილაჩავა და გ. კვარაცხელიაც მიეხმარნენ. ბავშვს ადგილზევე გაეწია პირველი დახმარება, რის შემდეგ იგი გონს მოვიდა.

მამაცმა ადამიანებმა ბავშვი დაღუპვას გადაარჩინეს.

ბ. ალშიბაია

70 ვერცხლის შედევრი

• კოლექციები და კოლექციონერები

საქართველოს სახალხო მხატვარ ელენე ახვლედიანის სახელოსნოში რომ შეხვალ, თითქოს „საუკარელ სიძველეთა“, ძველისძველი და საინტერესო საგნების სამყაროში მოხვდები.

კედლებზეა საქართველოს პეიზაჟები, მისი ადამიანები, მისი სოფლები და მთები. მაგრამ ამჯერად მხატვრის სურათებს როდი მივმართავთ, რომლებიც ცნობილია ფერწერის ბევრი მოყვარულისათვის.

თითქმის ოცდაათი წელია ავროვებს ელენე ახვლედიანი ხალხური ოსტატთა ნახელავს: კერამიკას, ვერცხლს, ბრინჯაოს.

კედლის პატარა თახჩებში ჩასმული თასები და ჭურჭელი ორგანულად ერწყმიან სახელოსნოს ქართულ ინტერიერს. ძველებური შანდალი, სინები და ნაზი ნახატითა და ორნამენტებით შემკული ნატიფი მოჭედილი სურები. ათეული წლების და ვინ იცის საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდნენ ისინი ადამიანთა არაერთ თაობას. და დღეს, „ცივილიზებულ“ ფაიფურისა და მინის შემდეგ რა მშვენიერი და კეთილშობილური მოჩანან ძველი დროის უცნობ ოსტატთა ქმნილებანი.

ელენე ახვლედიანის „ვერცხლის“ კოლექციის თვითეული ნიმუშს თავისი ხანგრძლივი და უჩვეულო ბედი აქვს. იქნებ ეს ვერცხლის ნატიფი სარწყული, სპარსული დამწერლობით რომ არის შემკული, სატრფოსადმი იყო მიძღვნილი... XVII საუკუნის უცნობმა ოსტატმა თავისი შრომა და თავისი სიყვარული უკვდავყო, ეს შესანიშნავი ჭურჭელი რომ შექმნა.

ეი ეს ლამაზი გათლილი თასი





ჩქაროსანი კოლექციონერი

თუ ელენე ახვლედიანმა თავისი იშვიათი კოლექციის შეგროვებას მრავალი წელი მოანდომა, სამაგიეროდ მისი თანამემამულე ოცი წლის თბილისელი ჭაბუკი როსტომ შალვას-ძე ფერაძე ფანტასტიკურად მოკლე ვადაში მფლობელი გახდა არანაკლებ უნიკალური კოლექციისა, რომლის ღირებულება 100.000 მანეთს უდრის.

მას არ უპოვნია მიწაში ჩაფლული ძველი განძი ან სამალავში შენახული ძვირფასი ნივთები. ის შემთხვევა, რომელმაც იგი უძვირფასეს კოლექციას შეახვედრა, ბედხიერად ნაპოვნთან როდი დაკავშირებული, არამედ უფროსი სიხსლის სამართლის საპროცესო კოდექსთან აქვს დამოკიდებულება.

1967 წლის ოქტომბერში თბილისის მილიციის სამმართველოს სიხსლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლის, მილიციის მაიორ ბოხდო დავითის-ძე მესხის ყურადღება მიიპყრო კარგად ჩაცმულმა ახალგაზრდამ, რუსთაველის პროსპექტზე რომ დასეირნობდა. კოხტად გამოწყობილი ჭაბუკი ხელში ატრიალებდა ბრჭყვიალა ძვირფასი ქვებით შემკულ ნაჭედ სამაჯურს.

მაიორი დაინტერესა იმან, რომ სამაჯური ჰგავდა იმ ფოტოსურათს, რომელიც ცოტა ხნის წინათ უჩვენა ოპერატიულ მუშაკებს თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა კ. კეთილაძემ. სწორედ ასეთი სამაჯური ჭედურობის ცნობილი ქართველი ოსტატების კ. ქუთათელაძისა და ნ. მაგომედოვას სხვა ნამუშევრებთან ერთად მოიპარეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოწყობილ გამოფენაზე გასული წლის თებერვალში. ამ ფასეულობათა ძებნა გამოცხადებულ იქნა მთელ საბჭოთა კავშირში.

ელენე ახვლედიანმა შეამჩნია ხანშიშესულ ქალთან ყოფილ თათრიან ბოლდანზე, და წვრილი იაპონური ხურმის ჩირთან ერთად თასი ამ ფასტვრის კოლექციაში მოხვდა.

ეს გრაციოზული ვერცხლის ჭურჭელი კი, რომელიც [illegible] ლია XVII საუკუნის ბოლოს, დამორთულია ფერადი ყვავილის ორნამენტითა და აღმოსავლურ ტანისამოსიანი ნაჭედი ფიგურებით, მხატვარმა შენიშნა ერთი მოხუცი ქართველი ქალის სახლის მტვრიან კუთხეში, რომლის ვიეხედანაც 20 წლის წინათ ძველი თბილისის ხედი ეკიდა.

ეს ავადმყოფნის კოლექციაში [illegible] ჭედურობა [illegible] ნაჭედ ფიგურებს, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ისტორიკოსისთვისაც და მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეებისთვისაც.

ირინა ძუცოვა.

სახელოვანი გზით

ჩვენი თანამემამულენი რესპუბლიკის გარეთ

ამბავ წინათ შესაძლებლობა მოგვეცა ექიმთა და მეცნიერთა საზოგადოებაში გაგვეცნო ახალგაზრდა პროფესორი, ქალაქ კალინინის სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორი.

ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ იგი თბილისისათვის რამდენადმე უცხო იყო, თუმცა გარეგნობა — კუპრიანი შავი, შუბლზე ჩამოშლილი ხშირი თმა, ყეთილი თვალები, ღიმილი, სადა, მაგრამ მოხდენილი ჩაცმულობა, რომელიც ყურადღებას იპყრობდა — საერთო იერი მიგახვედრებდათ, რომ იგი ქართველია.

ძვირფასო მკითხველო, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თქვენც გაგაცნოთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის გიგი ორჯონიკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გიგი ორჯონიკიძე აღიზარდა სურამში პედაგოგების ოჯახში. მისი მშობლების — საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგებისა და კონსტანტინე ორჯონიკიძეების მეერდს ამშვენებს სახოგადოებრივი სასარგებლო შრომისა და უმწიკლო მოღვაწეობისათვის მიღებული მთავრობის მადლი. ჯილდოები. ბავშვს საუკეთესო გარემო ჰქონდა სწავლისა და ცხოვრებაზე დაკვირვებისათვის და წესიერი და გონიერი ყმაწვილიც მეენიერებს საფუძველების დაუფლების დიდ სურვილს და მიდრეკილებას ამეღვაზებდა.

და აი, მრისხანე 1942 წელს ჭაბუკი ამთავრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საკურსალო ფაკულტეტს და, შეიძლება ითქვას, იმავე დღიდან უკვე დიდი სამამულო ომის ფრონტებზეა. იგი მონაწილეა სტალინგრადის გმირული ეპოპეისა, ყირიმის ბრძოლებისა და ბალტიისპირეთიდან გერმანელი ფაშისტების გაძევებისა. გიგი მონაწილეობდა აგრეთვე იაპონელებთან ბრძოლაში.

გ. ორჯონიკიძე მოქმედ არმიაში უშუალოდ ფრონტებზე იმყოფებოდა. ჯერ იყო მოწინავე ხაზზე საველე ჰოსპიტალში რიგით, ხოლო შემდეგ წამყვან ქირურგად. როცა დაჭრილ მებრძოლებს უწევდა სამედიცინო დახმარებას, ხამჯერ თითონვე დაჭრეს.

გიგის ბევრი რამ აკონდება დიდი სამამულო ომის ქარიშხლიანი დღეებიდან, მაგრამ ყველაზე ძნელად თვლის ბრძოლას ყირიმისათვის.

— ეი, გაცხოველებული მზადებაა ყირიმის განთავისუფლებისათვის, იქ მყოფ ფაშისტებზე გენერალური შეტევისათვის. მე, ექიმ ანატოლი გაიდამაკინთან ერთად, — იგონებს იგი, — გამგზავნეს ერთ-ერთ კუნძულზე — ცნობილ სივაშზე. ეს კუნძული (სიდიდით არც თუ ისე დიდი, მისი ფართობია 3×4 კილომეტრი) იყო სწორედ შემაერთებელი ბირთვი დიდ მიწასა და ყირიმს შუა. აქ დღედაღამ არ წყდებოდა გმირული ბრძოლა შემაერთებელი ხიდების ასაგებად, რომლებითაც უნდა გადმოსულიყო ჩვენი ძლიერ არტილერია, მთელი არმია თავისი ტექნიკით. ადგილი წარმოსადგენია, რა ქარცეცხლი ტრიალებდა აქ. თითქმის განუწყვეტლივ ბომბავდნენ მას გერმანელები, რათა ჩვენი მებრძოლებისათვის ხელი შეეშალათ ხიდის აგებაში. ირგვლივ ბულისმომკვლელი კვნესა და ოხვრა გაისმოდა, დაბორიალობდა სიკვდილი... უამრავი დაჭრილი საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას. გვიან ღამითაც კი, ჭრაქის სინათლეზე, კეთდებოდა რთული ოპერაციები. მებრძოლები საოპერაციო მაგიდიდანვე ებმებოდნენ ბრძოლაში, ხოლო ისინი, ვინც ძმამდე იყო დაჭრილი, ოპერაციის შემდეგ, ღამით, ჭაობიანი სივაშიდან გასაბერი ნავებით გადაგვყავდა დიდ მიწაზე ზურგში გასაჯანაღად. მეზენიტეები ზედიზედ ილუპებოდნენ და მაშინ ჩვენ — ექიმებიც კი ვებმებოდით სარტილერიო ბრძოლაში, სახენტო არტილერიის ცეცხლს ვუშენდით სვასტიკიან კაცისმკვლელებს. აქ მტერი ჭაობსა და ბევრ წყალზე ამყარებდა იმედს, არ იშურებდა ენერგიას ასეთი გზით შეიძლებოდა წარმოშობილიყო უდიდესი რაოდენობით საწვავი გაზი და ნავთობი. ჩვენი უახლოესი კოსმოსური ზეზობლის ზედაპირი წარმოედგინათ როგორც ნავთობის ოკეანე, რომელსაც გარს ერტყმის ბუტანის, პროპანის სქელი ღრუბლები და სხვა, „ძძიმე“ გაზები და ხახშირმეავა.

სულ რამდენიმე წლის წინათ კოსმოსავლეთის განვითარებისა და დედამიწის ლაბორატორიებში მეტეორიტული ნივთიერების უახლესი კვლევის შედეგები, თითქოს „ჰოილის ჰიპოთეზას“ ადასტურებდნენ. მეტეორიტებში, მაგალითად, აღმოაჩინეს რთულ ნახშირწყალბადთა მთელი ოჯახი, რომლებიც ორგანული შენაერთების ანალოგიური იყო. ეთო�o, მაგალითად, არომატული ნივთიერებანი, ბიტუმები, ნაფთენის სიმაყვაკები. ქიმიკოსებმა, რომლებმაც ლაბორატორიებში გაიმეორეს „კოსმოსური“ ფიზიკურ-ქიმიური პირობები (დიდი წნევა და მაღალი ტემპერატურები), მიიღეს რთული შემადგენლობის ნახშირწყალბადის მოლეკულათა გამა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ახალი ჰიპოთეზა დასტურდება.

მაგრამ პირველმა შეხვედრამ რეალურ პირობებთან, რომლებიც ვენერას ატმოსფეროში არსებობს, ხაზი გადაუსვა ჰოილის გაბედულ ჰიპოთეზას.

მაგრამ ისმება კითხვა, როგორ წარმოიშვა მეტეორიტულ ნივთიერებაში ნახშირბადისა და წყალბადის რთული შენაერთები? სამეცნიოსმა აკადემიკოსმა ა. პ. ყანოგრადოვმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ რთული ნახშირწყალბადების სინთეზი შესაძლებელია ყოველი კოსმოსური სხეულის ზედაპირზე, თუ არის წყლის მოლეკულები, იგი წარმოიქმნა კოსმოსური სხივების ენერგიის, „მზის ქარის“ (პროტონების ნაკადი, რომელსაც კოსმოსში გამოასხივებს მზე ან მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ხარჯზე).

აკადემიკოს ა. პ. ვინოგრადოვის აზრით, დედამიწაზე სიცოცხლე წარმოიშვა ისეთ გარემოში, რომელიც საკმაოდ მდიდარი იყო რთული „კოსმოსური“ ნახშირწყალბადებით. იმ შორეულ დროს ჩვენს პლანეტას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თანამედროვე ატმოსფერო, რომელსაც შეეძლო მისი დაცვა „მზის ქარისაგან“, ულტრაიისფერი სხივებისაგან და მეტეორიტის კოსმოსური ნაწილაკების გამსჭვალავი ნაკადებისაგან. მაგრამ როგორც კი დედამიწაზე სიცოცხლე წარმოიშვა, მისმა ატმოსფერომ შეიძინა თანამედროვე გაზის შემადგენლობა და თავისებური საცავი გახდა დედამიწის ორგანიზმებისათვის. ცოცხალ მობინადრეთა ორგანული ნაშთები კი, რომლებიც დედამიწის ქერქის წიაღში გადამუშავდა, გადაიქცნენ ნავთობისა და გაზის მატერიალურ საფუძვლად.

რაც შეეხება „კოსმოსურ“ ნახშირწყალბადებს, მათი წარმოშობის პირველად პროცესებს, ალბათ მალე გამოიკვლევენ უშუალოდ მთვარეს თუ მარსზე.

დ. დმიტრიევი.
(საკ. კორ.).



ცვლილებანი ლიდერთა ხგუფში

ფლევანდელი საკვიჩირო ჩემპიონატი კალათბურთში ვიკეთა გუნდებიდან ბევრად განსხვავდება ადრინდელებისაგან. დისტანციის ერთიერად გადიდებამ, საკლებო გუნდებიდან საუკეთესოთა ნაკრებში ვაწვევამ და სხვა ფაქტორებმა თავისი დაღი დასასვეს პირველობას. რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სიახლეებმა უარყოფითი გავლენა იქონია ჩემპიონატზე. პირიქით, მატჩები უფრო მრავალმხრივი და შეუპოვარი გახდა და სატურნირო ცხრილში ხშირი ცვლილებების მოწმენი ვართ.

უკანასკნელ მატჩებში წარმატებით გამოვიდნენ კიევის არმიის სასპორტო კლუბისა და „სტროიტელის“ გუნდები, რამაც მათ საშუალება მისცა მკვეთრად გამოესწორებინათ სატურნირო მდგომარეობა. მაგალითად, კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც 14 თამაშიდან 10 ქულა აქვს, ჩემპიონატის ლიდერად ითვლება. ორ გუნდს ცხრა-ცხრა ქულა აქვს. ესენი არიან თბილისის „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელის“ გუნდები, დინამოელებს ქულათა უკეთესი შეფარდება და ორი თამაშით ნაკლები აქვთ. ასე რომ თბილისელთა მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ცუდი როდია.

მართალია, გუშინდლამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით კაუნასის „ჟალგირისს“ 8 ქულით მეოთხე ადგილი უჭირავს. მაგრამ მისი პოტენციალური შესაძლებლობა სხვებზე გაცილებით უკეთესია. ამისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეს 8 ქულა „ჟალგირისმა“ მოაგროვა 10 თამაშიდან. ასევე 8 ქულა აქვს. მაგრამ უკვე 14 თამაშიდან ლენინგრადის „სპარტაკს“.

თბილისის „ბურევესტნიკს“ „ალენდარის მიხედვით ჯერ-ჯერობით შესვენება აქვს. „ბურევესტნიკს“ 10 თამაშიდან 5 ქულა აქვს და მეცხრე ადგილზე იმყოფება. თბილისის დინამოელები მორიგ მატჩებს ვამართავენ 18 და 19 იანვარს ტარტუში „კალევთან“.



სპორტული ქრონიკა

⊙ ოთხმა ჩეხოსლოვაკიელმა მთამსვლელმა ქალმა გადაწყვიტა ფეხით ჩავიდეს მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე. მათ უკვე გაიარეს 2.260 კილომეტრი და ახლა ინგლისის დეკერის ნავსადგურში იმყოფებიან: ესენი არიან კ. ტარანტოვა, ვ. კობარკოვა, ი. ზოჩასკოვა და ზ. ოპატრნა.

⊙ მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც ემზადება თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში უელსის „კარდიფ სიტისთან“ შესახვედრად, სოჭში ჩავიდა. მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეკრებას გაიკლის ხოსტაში, დედაქალაქის „სპარტაკი“ — სამარხანდში.

⊙ დასასრულს უახლოდები სტუდენტ მოჭადრაკეთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი. უკანასკნელი ტურის წინ ლიდერები არიან — ვ. ბაგიროვი, ი. ზაიცევი და ბ. ფოროში, რომლებსაც ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

18 იანვარი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „აკვალანგები ფსკერზე“, 19.25 — გადაცემა — „ვისაუბროთ წარმოების კულტურაზე“, 19.55 — გახსნადებები, 20.00 — ჟურნალ „ძველის მეგობრის“ მიმოხილვა, 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — კონცერტი, 21.10 — კინონარკვევი, 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.45 — მხატვრული ფილმი „ლებედევი ლებედევის წინააღმდეგ“, 23.10 — გადაცემათა პროგრამა 19 იანვრისათვის, 23.15 — „ფიზკულტურა და სპორტი“ — — „წინ გრენობლია“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

19 იანვარი

10.30 — კინონარკვევები, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სულიკო“, 12.45 — „წინ გრენობლია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა „უფროსკლასელთათვის „მამაცთა გზით“, 18.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.55 — გადაცემა — „საზოგადოებრივობა და დანაშაულთან ბრძოლა“ 19.10 — კინონარკვევი, 19.35 — ახალგაზრდობის თვითმოქმედების სატელევიზიო ფესტივალი (გადაცემა მეორე), 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.05 — კინონარკვევი, 21.15 — „ტელეპანორამა“, 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“, 23.10 — — გადაცემათა პროგრამა 20 იანვრისათვის, 23.15 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

თეატრები

18 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კომედიის ხელოვნება, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შესანიშნავი სამეული.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

„ვენერა-4“ უარყოფს ჰიპოთეზას

მოსკოვში მიმდინარეობს სრულიად საკავშირო თათბირი ნავთობისა და გაზის გენეზისის საკითხებზე. 17 იანვრის დილის სხდომაზე საბოლოოდ უარყვეს ამერიკელი მკვლევარის ჰოილის ჰიპოთეზა, რომლის მომხრენი იყვნენ ეგრეთ წოდებულ არაორგანული სინთეზის თეორიას. საერთო დისკუსიამ თხეკადი და გაზსებრი საწვავის წარმოშობის პრინციპულ საკითხზე ცხადყო, რომ სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა — გეოლოგები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები და ასტროფიზიკოსებიც კი იზიარებენ ნავთობისა და გაზის ორგანული წარმოშობის იდეას.

„ჰოილის ჰიპოთეზას“ გაემიჯნენ დედამიწის ქერქის გაზნავთობიანობის მატერიალური საფუძვლის — ნავთობის ნახშირწყალბადების კოსმოსური წარმოშობის იდეის მომხრენიც კი.

საბოლოო განაჩენი „ჰოილის ჰიპოთეზას“ გამოუტანა ხაბეროთა საპლანეტათშორისო ავტომატურმა სადგურმა „ვენერა-4“-მა, რომელმაც დედამიწაზე გადმოსცა უდავო მონაცემები, რომ ვენერას ატმოსფეროს შემადგენლობაში შედის გაზები.

ისინი, ვინც იცავდა არაორგანული სინთეზის თეორიას, ამტკიცებდნენ, რომ ნავთობის ნახშირწყალბადები წარმოიშობა პლანეტის მყარ სხეულში ნახშირბადისა და წყალბადის შეერთების შედეგად დიდი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში. ამ საფუძველზე პროფესორმა ჰოილმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ყველა ეს არის შესანიშნავი ნაკეთობის აუტორი? ამბრბენ ეს საკარძელი. შუტოვმა გააკეთა — ცნობილმა რუსმა ხელმარჯვე ოსტატმა, რომლის ნაკეთობანი ზნირად იყიდებოდა ბაზრობებზე და ყველას მოსწონდა.

ეს ქართველი ბიჭები

ცნობისმოყვარეთათვის

ცნობილი მუსიკოსის დებიუტი

ოთხი თვეა დიდი თეატრის სცენაზე არ მომხდარა ონეგინისა და ლენსკის დუელი, არ გამართულა მეჯლისი ლარინების სახლში, არ აუღერებულა ტატიანას არიები. ოპერა „ევგენი ონეგინი“, რომელიც 1.800-ჯერ დაიდგა და ტოლი არ ჰყავდა პოპულარობით, ბოლო დროს არ შედიოდა თეატრის რეპერტუარში. შარშან შემოდგომაზე გადაწყვიტეს დაედგათ ოპერა ახალი რედაქციით.

ახლა ცნობილი რეჟისორის ბორის პოკროვსკის ხელმძღვანელობით ეს მუშაობა დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ბ. პოკროვსკი იყო აგრეთვე ავტორი „ევგენი ონეგინის“ წინა დადგმისა, რომელიც 1944 წელს განხორციელდა.

მთავარი პარტიების ახალგაზდელ შემსრულებელთა შორის არიან როგორც სცენის სახელგანთქმული ოსტატები, ისე ახალი თაობის მსახიობები. დიდი თეატრის დირიჟორის პულტთან რეპეტიციების დროს პირველად დადგა გამოჩენილი მუსიკოსი მსტისლავ როსტროპოვიჩი, რომელიც მიწვეულია სპექტაკლის დირიჟორად.

ბაზრობაზე შეძენილი საფარძელი

დონეცკის ოლქის ქალაქ სლავიანსკის სახალხო მუზეუმის ექსპონატებს შეემატა უჩვეულო ძველებური საგარძელი. მისი ზურგი, რომელიც წინა ფეხს უერთდება, გაკეთებულია ცხვრის მოსართავის რკალისებურად, რომელზეც ამოკვეთილია ანდაზა: „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“. საგარძელს სახელურებად აქვს ორი ბატარა ცული, რომლებიც პირით ორიგინალურ დასაჯდომს ეყრდნობიან. გარს შემოვლებულია მარტუელა, რომელზეც ორი ქალამანია ამოჩეკურთმეული. დასაჯდომზე ხის პირსახოცია, რომელსაც ორნამენტი ამშვენებს. მოჩუქურთმებული ბალალაიკა — საყრდენი ზურგს აერთებს დასაჯდომთან.

ეს უჩვეულო ექსპონატი მუზეუმს აჩუქა სლავიანსკელმა მარიამ პავლეს ასულმა კონონენკომ მან საგარძელი 1910 წელს შეიძინა ხარკოვში გამართულ ბაზრობაზე...

ზვიგენები... პამირზე

ტაჯიკეთში „ქვეყნიერების ბანის“ ძირას, ზღვიდან ათასობით კილომეტრზე შეიძლება შეიძინოთ ეგზოტიური ყელსაბამი... ზვიგენის კბილებისაგან. ამისათვის საკმარისია იაღოო ზუოგჩინთა და დალაშქროთ გისარის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთები.

აქ, მესამეული პერიოდის ახალგაზრდა ნალექებში ტაჯიკმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს გიგანტური გადაშენებული ზვიგენის კბილების სალაცარი „სასაფლაო“. მილიონობით წლის წინათ ეს ზვიგენები ცხოვრობდნენ ტეტისის თბილ ზღვაში, რომელიც ახლანდელი პამირის მეტ ნაწილს ფარავდა. კბილებს დღესაც არ დაუკარგავთ „საბრძოლო თვისებები“. ისინი სამართებელივით ბასრი და ფოლადივით მტკიცეა.

(საკ. ფოსტა).

ყინულთან ბრძოლაში

იზმაილი, 17 იანვარი. (საკ. ფოსტა). დუნაიში ინტენსიურად დაიძრა ყინული, რამაც მდინარის ქვემო დინებაში, კილიისა და ოჩოკოვის განტოტებაში ყინულხერგილები წარმოშვა. ამის გამო სწრაფად აიწია წყლის დონემ. 15 იანვარს ღამით წყლის დონე ქალაქ ვილკოვოს რაიონში 132 სანტიმეტრით აღემატებოდა საკონტროლო ნიშნულს, ხოლო კილიის რაიონში იგი მიუახლოვდა ნავსადგურის კორდონთან კიჩიხულ დონეს და თუ იგი მიაღწევდა ამ დონეს, წყალი ქალაქსა და ნავსადგურს დატბორავდა. მარაგად მხოლოდ 25 სანტიმეტრი რჩებოდა.

კილიისა და ვოლკოვოს დატბორვის საფრთხის თავიდან აცილებლად ღამითვე განაბორციელეს სასწრაფო ღონისძიებანი. ყინულხერგილების სალიკვიდაციოდ გაემგზავრნენ საზღვაო ბუქსირები „დუნაეცი“, „ვოლეგოი“, „ბაიანი“ და საშველი გემი „ატლანტა“. მათი ეკიპაჟები გათენებამდე ებრძოდნენ სტიქიას და გაიმარჯვეს: ზღვიდანრა მოახერხეს არხის გაჭრა და ყინულის ნაწილი ზღვაში ჩაუშვეს. წყლის დონემ თანდათანობით იკლო.

ვ. თ. გოგია — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგემ დოცენტმა ელადიმერ თეიმურაზის-ძე გოგიამ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჩაის შენახვის მეცნიერული საფუძვლები“.

სსრ ავშვრის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დამტკიცა ვ. თ. გოგიასათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, ხაბეჭდთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03113

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

7